სარგიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 4 ივნისი 2004 №126 (2145) | ფასი 50 თეთრი

შემოდგომის აზნაურებმა ფული იშოვეს

მეტალურგი ილია ჯოჯაიას ავსტრიულ ზესტაფონოგრამაზე ითამაშებს

არ გაგიკვირდეთ, რეგიონალლიგაში გაპარდნილი გუნდი უმაღლესში თუ აპარდა

თუხთუხებს ხალხი

გადავიდა, გადადის, გაანათხოვრეს, ხელი მოაწერა, ჯერ არ მოუწერია... გუშინ ევროპაში გავრცელებულ ცნობათა უმეტესობაში სწორედ ეს სიტყვები სჭარბობდა ანუ სატრანსფერო ბაზარი ცეცხლზე შემომდგარი ქვაბივით თუხთუხებს და ჩვენც ცხელ-ცხელი ამბებით შევიქციოთ თავი.





საპორტუგალიო სამზადისში დამაშვრალმა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა, ჟაკ სანტინიმ გუშინ მოიცალა და ინგლისურ „ტოტენჰემს“ შეუთანხმდა, ევრო 2004-ის დასრულებისთანავე თქვენთან მიგულეთო. „ჩელსიში“ ახლახან გამწვრთნელებულმა ჟოზე მაურინიუმ კი ხუან სებასტიან ვერონი იტალიის გზას გაუყენა — არგენტინელი ითხოვა „ინტერმა“, რომელიც ალბათ მარკო დი ვაიოსაც შეიმატებს, სამაგიეროდ კი კრისტიან ვიერის დათმობა მოუწევს, ბობოს და „იუვენტუსის“ კონტრაქტს თითქმის აღარაფერი უკლია.

გადაწყვეტილ ამბად ჩანს მიხაელ ბალაკის გაბარსელონელება — გერმანული „ბილდის“ მტკიცებით, კატალონიელებმა უკვე შესთავაზეს „ბაიერნს“ 10 მილიონი ევრო და მიუნხენელთაგან დადებით პასუხს ელიანო. დაუჯერებელი კია, მაგრამ „ბილდივე“ ირწმუნება, არ გაგიკვირდეთ, მომავალ სეზონში ოლივერ კანი „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში რომ ჩადგესო...

...მოკლედ, ქვაბიც თუხთუხებს და ხალხიც.

როლან გაროსი გარუსდა



კაცებში არგენტინელები, ქალებში რუსები! გუშინ ელენა დემენტიევამ და ანასტასია მისკინამ „როლან გაროსის“ ცენტრალურ კორტს პრივატიზება ჩაუტარეს. თითქოს საფრანგეთის ღია პირველობის ფინალის საგზურს ჯენიფერ კაპრიატის კი არ ედავება, მეზობლის გოგონას პირველად საჩოგბურთო გაკვეთილებს უტარებსო, ისე დაჩოგნა შავ თმებში წითელ ყვავილგარჭობილმა მისკინამ ზორბა ამერიკელი —6:2, 6:2. 30 წელიწადში პირველი რუსული საქალებო სლემტიტულის მოგების ყველა ეჭვი მოსპო ელენა დემენტიევამ, ვინაც ამ სიშორეზე შემთხვევის წყალობით შემოსული არგენტინელი პაოლა სუარესი 6:0, 7:5 დაამარცხა.

გურამ დოლიძეს „ბერლის" ფოტო

ვლადიმერ ზემლიანოვი — აი, იმ კაცის სახელი, ვინც დღესდღეობით საქართველოს ჩემპიონატის რეგიონალიგელ ზესტაფონის „მეტალურგის" მწვრთნელი იქნება.

როგორც გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით, ზესტაფონის „მეტალურგს" საქართველოს ნაკრების სპონსორმა „ფერომ" მოჰკიდა ხელი და როგორც გავიგეთ, სერიოზული გუნდის გაკეთება გადაუწყვეტია. გუშინვე ვწერდით, რომ „მეტალურგის" ახალი თავკაცის სახელი ზესტაფონში ვერავინ გვითხრა, თუმც ინფორმაციის სისწორე, უცხოელი მწვრთნელი გუნდს უკვე შეხვდაო, ყველამ დაგვიდასტურა.

ჰკითხე ახლა, რამფერო...

ცოტა ხნის წინ მეტალურგი თითქმის აღარ იყო. ცოტა ხანში იქნებ უმაღლესშიც იყოს

— დიახ, ზესტაფონის „მეტალურგის" პატრონობა სააქციო საზოგადოება „ფერომ" ითავა და დღეის იქით ამ გუნდს ჩვენ მივხედავთ — გვითხრა გუშინ „ფეროს" აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი ავსტრიული „დეკომეტალის" წარმომადგენელმა საქართველოში ილია კოკაიამ — გუნდის ახალი მწვრთნელი, ალბათ, მოლდოველი ვლადიმირ ზემლიანოვი იქნება, ვინც თავის დროზე მოლდოვის ჩემპიონ და თასის მფლობელ ტირასპოლის „შერიფს" თავკაცობდა. ზემლიანოვთან კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია, ის ახლა ზესტაფონშია და გუნდს აკვირდება. ჩამოვა თბილისში, დავილაპარაკებთ და იმედია, კონტრაქტსაც მალე გავაფორმებთ.

კი მაგრამ, უცხოელმა მწვრთნელმა რეგონალლიგაში მოთამაშე გუნდი უნდა ჩაიბაროს? ილია კოკაია გვპასუხობს, რომ „ფეროს" ამბიციებს რეგიონალლიგა კი არა, პირველი ლიგაც ვერ დააკმაყოფილებს. გამოდის, რომ „მეტალურგი" წლეულსვე უმაღლეს ლიგას უმიზნებს.

— ჩვენ სერიოზული გეგმები გვაქვს. დავიწყეთ გაპარტახებული „მეტალურგის" სტადიონის მთლიანი რეკონსტრუქცია, მალე ავიღებთ ტერიტორიას, სადაც გუნდისთვის გავაშენებთ საწვრთნელ ბაზას... ამავდროულად, მომავალი ჩემპიონატისთვის ყველა კლუბმა უნდა გაიაროს ლიცენზირება, რისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაც დღესდღეობით, ვფიქრობ, ბევრ კლუბს არ შეუძლია. ჩვენ კი ამ ორ თვეში საკლუბო ინფრასტრუქტურას მოვაწესრიგებთ და ფედერაციაც ლიცენზიას, ალბათ, არ დაგვიკავებს — იმედიანადაა ილია კოკაია.

და თუ გავითვალისწინებთ, რომ წლეულს უმაღლეს ლიგაში აღზევებულ წყალტუბოს „სამგურალს" არსებობისთვის ელემენტარული პირობები არ აქვს, ვერცხლისმედალოსანი ბოლნისის „სიონი" კი სულაც დაშლის პირასაა, არ გაგიკვირდეთ, თუ უმაღლეს ლიგაში ზესტაფონის „მეტალურგიც" გამოჩნდეს. ჯერჯერობით ყველაფერი აქეთკენ მიდის.

ძოგა ინასარიძე

ეგ არი და ინტერგორი

ბოლოდროინდელმა საფეხბურთო ხათაბალამ საქმე ისე მოაწყო, რომ ინტერტოტოს თასზე გორის „დილა" ითამაშებს. გორელები უკვე გამალებით ემზადებიან საამისოდ — ევროპაში გასვლა ხომ „დილას" ისტორიაში არნახული ამბავია. თან პირველ თამაშამდე არცთუ დიდი დრო დარჩა: 19 ან 20 ივნისს ქართველები ბულგარულ კლუბს (სავარაუდოდ, „ჩერნო მორეს") ესტუმრებიან. საპასუხო მატჩი 26-27 ივნისის გაიმართება.

წარმატების შემთხვევაში გორელთა მეტოქეები ბელგიელები იქნებიან. მეორე რაუნდის პირველი მატჩები 3-4 ივლისს, ხოლო საპასუხოები 10-11 ივლისს ჩატარდება.

თუ სასწაული მოხდა და „დილამ" ეს ბარიერიც გადალახა, გორელებს გერმანელებთან მოუწევთ ჯავგური. თარიღები აქაც გარკვეულია: 17-18 და 24 ივლისი.

ნახევარფინალსა თუ ფინალში „დილას" გასვლისა, ცხადია, არავის სჯერა, მაგრამ თემა ბარემ ბოლომდე ამოვწუროთ: ნახევარფინალები 28 ივლისს და 4 აგვისტოს გაიმართება, ფინალური მატჩები კი 10 და 24 აგვისტოს.

ძახა შალამბერიძე



ბადრი ჯიბილაძის ფოტო

ელია, აღარც ელია, არიან, აღარც არიან

ფედერაციისგან დასჯილი ბოლნისის „სიონი" ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა.. ბოლნისელები თითქმის ყოველდღე სტუმრობენ პროფლიგის თუ ფედერაციის თავკაცებს და ჯერაც უიმედოდ. „ოქროს მატჩში" მომხდარი ქვემოქართლელებს ძვირად დაუჯდათ და ახლა სასჯელის შემსუბუქებასღა ელიან. ამ სასჯელის გამო „სიონი" შესაძლოა, დაიშალოს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, სამი ფეხბურთელი უკვე შეგვიძლია სიონელად აღარ მოვიხსენიოთ — ბორის გონჩაროვის თბილისის „დინამოში" გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია, თან, როგორც გავიგეთ, მის გარდა „დინამო" დავით ბაქრაძეს და დავით ჭიჭვეიშვილსაც დაკავშირებია.

ისე ჩანს, ბოლნისელები უეფას თასიდან მოკვეთას უკვე აღარც ნაღვლობენ. ამბობენ, ამ სასჯელს ალბათ არავინ მოგვიხსნის, ახლა მომავალი სეზონის ათი საშინაო მატჩით დისკვალიფიკაციის შემსუბუქებაზე უფრო ვფიქრობთო. გაურკვევლობაშია „სიონის" სპონსორის, „მადნეულის" ხელმძღვანელობაც. გუნდი თუ დაიშალა და თან ახალ ჩემპიონატში ფაქტობრივად სტუმრად მოგვიწია თამაშმა, ჩვენს საქმიანობას რაღა აზრი აქვსო.

ერთი სიტყვით, რა როგორ იქნება, ჯერაც არაა ბოლომდე გადაწყვეტილი. ჩვენ კი „სიონის" კაპიტან *იური გაბისკირიას* შევეხმიანეთ და დიდი იმედი ვერც მას შევატყვეთ...



გურამ დოლიძეს „ბერლის" ფოტო

— ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. გაურკვევლობაში ვართ და როდემდე გაგრძელდება ასე, არავინ იცის.

— მართალია, რომ „სიონის" ფეხბურთელებმა განთავისუფლების ფურცლები უკვე მოითხოვეს?

— არა, ასეთი არაფერი მომხდარა. ბიჭები ჯერაც იმედით ელიან მდგომარეობის შეცვლას. მხოლოდ ორი თუ სამი ფეხბურთელი აპირებს სხვა გუნდში გადასვლას. დანარჩენები აქ ვართ.

— და რის შეცვლას ელით?

— უეფას თასზე რომ არ გაგვიშვებენ, ფაქტია. ახლა ათთამაშიანი დისკვალიფიკაცია უფრო გვადარდებს. ეს სასჯელი თუ არ შეგვიმცირდა, მაშინ „სიონის" არსებობას მართლა ეკარგება აზრი და ჩვენც სხვა გზას ვეწევით. თუმცა ვნახოთ, რა მოხდება...

— „მადნეულის" ხელმძღვანელები რას ამბობენ?

— გუნდი თუ დაიშალა, ისინი ვერაფერს იზამენ. ახალი ფეხბურთელების მოყვანა და ყველაფრის თავიდან გაკეთება სისულელე იქნება. ამაში იმდენი დრო დაიხარჯება...

— ესე იგი, იმედი კიდევ გაქვთ?

— რა ვიცი, რა გითხრა... ვნახოთ, ამ დღეებში ალბათ ყველაფერი გაირკვევა. თუ არა, ბოლნისში ფეხბურთი დამთავრდება.

ასეთი მდგომარეობაა დღეს „სიონში" და ძალიან საეჭვოა, რამე შეიცვალოს. ფედერაციამ გადაწყვეტილება მტკიცედ მიიღო და თან გასაჩივრების შესაძლებლობაც გამორიცხა. ასე რომ, ძნელი წარმოსადგენია, დათმობაზე წავიდეს. მართალია, ბოლნისელებს ჯერაც იმედი აქვთ და იური გაბისკირიას თქმითაც, ფეხბურთელები რაღაცას მაინც ელიან, თუმც სამი ფეხბურთელის გუნდიდან წასვლა უკვე ცოტას არ ნიშნავს. მათ გზას ალბათ დღე-დღეზე ბევრი დაადგება.

ძახა შალამბერიძე

ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი

A ჯგუფი. VI ტური

ჰელმონდი 0:3 ვენლო

ვიტესი 2:0 სპარტა

B ჯგუფი. VI ტური

ეძელსიორი 2:3 გრაააფსხაპი

ვოლენდამი 2:2 ჰერაკლესი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. VII ტური

ჰაკა 4:2 ტპ-47

ლაჰტი 1:0 ჰაამეენლინა

როვანიემი 1:2 მიუპა

ტურკუ 0:1 ტამპერე

კტპ 0:1 ინტერი

ალიანსი 1:0 ჰიკ

ირლანდია

პრემიერლიგა. XIV ტური

დუბლინი — შელბურნი *გადაიდო*

მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი

1/2 ფინალი. I მატჩი

ქრუზ ასული — უნამი *დილით გაიმართა*

ნორვეგია

თასის

მეთექვსმეტედფინალი

ლოფოტენი 0:7 *ბოდიო გლიმტი*

სტრინდეიმი 1:6 *რუსენბორგი*

ამსანაგური მატჩი

ლიხტენშტაინი 0:2 საბერძნეთი

ღია ჯარის დღე საფეხბურთო ჯლუბ დინამო თბილისში

ბავშვებისა და ჭაბუკებისთვის!

დინამო თბილისის ბავშვთა და ჭაბუკთა აკადემია აცხადებს
ღია კარის დღეს ნიჭიერ ფეხბურთელთა შერჩევის მიზნით.
ასაკობრივი ჯგუფი: 1987-88-89-90-91
შესარჩევი თამაშები გაიმართება 5 ივნისიდან 20 ივნისამდე ყოველ დღე,
ავჭალის გზატკეცილზე მდებარე სტადიონზე — „სინათლე".
გელით 9:00 — 13:00 და 16:00 — 20:00 საათებში. ტელ: 53-20-76
მშობლებო და სპორტული სკოლების ხელმძღვანელებო, მიეცით
თქვენ ბავშვს შანსი, მოხვდეს საუკეთესო სპორტულ გარემოში!

ჩვენ ვმუშაობთ

გურამ რუხაძე: ჩვენი ერთი თეთრი ზოგის ხუთს უდრის

გასრულებული სეზონის მეორე ეტაპი „ვიტ ჯორჯიასთვის“ ძალიან ცუდად დაიწყო, გუნდმა ორ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა შეიმატა და ბევრმა „ვიტ ჯორჯია“ საჩემპიონო რბოლიდან ჩამოწერა. რა მოხდა მერე და ვისი ჩემპიონობით დასრულდა სეზონი, მოგეხსენებათ.

„ვიტ ჯორჯიაზე“ ლაპარაკისას უპირველესად იმას ამბობენ, რომ ის სტაბილური გუნდია, რომ მისი საკლუბო ინფრასტრუქტურა საქართველოში საუკეთესოთაგანია, რომ „ვიტ ჯორჯია“ ერთადერთია, ფეხბურთელებს რომ არ ყიდულობს და თავადვე ზრდის.

საკლუბო სტრუქტურა თავისთავად რთული მექანიზმია, წარმატება კი კლუბის თითოეული წევრის შრომით მიიღწევა. თუმცა მთელ ამ მექანიზმში მთავარი იმ პიროვნების ღვაწლია, ვინც ეს სისტემა ააწყო და დაალაგა. „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ შვიდი წლის წინ ცარიელ ადგილზე დაიწყო და საჩემპიონო გუნდი ააშენა

გურამ დულუნჯაველის ფოტო

— სეზონის წინ არაერთხელ გითქვამთ, წლეულს გუნდის მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა. გამოდის, ჩემპიონობა „ვიტ ჯორჯიას“ გეგმებში არ იყო?

— არა, რატომ?! „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონობაზეც ფიქრობდა და მაშინ, როცა ვამბობდი, ჩვენი მიზანი უეფას საგზურიაო, იმასაც ვამტკიცებდი, რომ უარს არც ჩემპიონობაზე ვიტყოდით. წლეულს მხოლოდ უეფას საგზური რომ მოგვეპოვებინა, სეზონს მაინც წარმატებულად ჩავთვლიდით. „ვიტ ჯორჯია“ შვიდი წელია გეგმაზომიერად მუშაობს. ჩემპიონობასთან შარშანაც ახლოს ვიყავით, მაგრამ ის გვაკლდა, რაც ახლა შევიმატეთ და პირველობაც ვიზეიმეთ.

— რა იყო ის, რაც ახლა შეგემატათ?

— გამოცდილება. ფსიქოლოგიური მომენტი იყო, ბიჭებმა ირწმუნეს, რომ ჩემპიონობა შეეძლოთ. მართალია, წლეულს „ვიტ ჯორჯიას“ ბიუჯეტი გაიზარდა და გუნდს უკეთესი პირობები აქვს, მაგრამ მაინც, ჩვენი ჩემპიონობა პირველყოვლისა გამოცდილებამ და ფსიქოლოგიურმა განწყობამ მოიტანა...

მეორე ეტაპის დასაწყისში „ვიტ ჯორჯიას“ ძალიან გაუჭირდა. ჩემპიონატის დაწყებამდე ხომ ისედაც ცოტას სჯეროდა ამ კლუბის პირველობისა და გაზაფხულზე თურქულშეკრებაგავლილმა „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე ეტაპის პირველი ორი მატჩი ჩაავდო. შინ „ლოკომოტივთან“ ფრემ და სტუმრად „თბილისთან“ წაგებამ ვეტერინარებს საჩემპიონო კი არა, უეფას საგზურის მოპოვების შანსიც შეუმცირა.

— მართალია — *გვპასუხობს გურამ რუხაძე* — ამ ორი წარუმატებელი თამაშის მერე მეც ნაკლებად მჯეროდა ჩვენი ჩემპიონობის და ვგრძნობდი, რომ გუნდში ცვლილებები იყო საჭირო. მწვრთნელი შევცვალეთ, მერაბ კოჭლაშვილი დავნიშნეთ, მის თანაშემწედ კი ვლადიმერ ხაჩიძე.

— როგორ ფიქრობთ, კოჭლაშვილის მოსვლით გუნდში რა შეიცვალა?

— კარდინალური ცვლილებები კოჭლაშვილს არ მოუხდენია. მან ფეხბურთელებს რწმენა დაუბრუნა, ბიჭები ფსიქოლოგიურად უკეთ განწყო.

— რასაც ორი ჩინებული მატჩი მოჰყვა...

— მერაბ კოჭლაშვილის პირველი მატჩი შინ, „დილასთან“ იყო, რომელიც გუნდმა 3:0 მოიგო, მერე კი „დინამოც“ დავამარცხეთ. ამ ორი მატჩის მერე ისევ ვირწმუნეთ, რომ ჩემპიონობა შეგვეძლო, გუნდი საამისოდ მზად იყო. შემდეგ, მართალია, ბოლნისში წავაგეთ, რამაც გუნდზე ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედა, მაგრამ გუნდმა შეძლო ძალა მოეკრიბა და „სიონთან“ მატჩიც მალევე დაივიწყა.

— პირდაპირ გეტყვით. როცა მწვრთნელად კოჭლაშვილი დანიშნეთ, ვიფიქრე, მას ჩემპიონატს ჩაამთავრებინებენ და ახალი სეზონიდან ახალ, უფრო ძლიერ სპეციალისტს მიიწვევენ-მეთქი. ალალად მითხარით, თავიდან თქვენც ასე ხომ არ ფიქრობდით?

არა — მოკლედ მოჭრა გურამ რუხაძემ, მერე ცოტა დაფიქრდა და განაგრძო — მერაბი „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელად იმ საღამოსვე დავნიშნეთ, როცა ზურაბ ბერიძემ პოსტის დატოვება გადაწყვიტა. კოჭლაშვილს გუნდის გაწვრთნა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ შევთავაზეთ, მაგრამ მაშინ თავად იყო უარზე. ახლა კი წინადადებაზე უყოყმანოდ დაგვთანხმდა. ის კარგი მწვრთნელია, მისი ინტელექტი თითქოსდა შენიღბულია, რასაც მაშინ შეიგრძნობ, თუ მასთან დიდხანს იმუშავებ. მერაბ კოჭლაშვილმა „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელად დანიშვნამდე კლუბში ხუთი წელი იმუშავა. გაიარა ყველა ეტაპი, რეგიონალლიგიდან დაიწყო, იყო პირველ ლიგაშიც, ახლა კი გუნდი ჩემპიონობამდე მიიყვანა.

„ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონია. კეთილი და პატიოსანი... შავრამ ახლა გუნდს საერთაშორისო სარბიელზე თამაში ელის. არა ინტერტოტოზე, როგორც აქამდე. ახლა ვეტერინარებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი აქვთ დასაძლევი. შარშან, მოგეხსენებათ, ივო შუშაკის თბილისის „დინამო“ იყო, პირველსავე ეტაპზე ალბანურ „ტირანასთან“ რომ შერცხვა.

რას გააკეთებს ამავე ეტაპზე კოჭლაშვილის „ვიტ ჯორჯია“?

— წინა პასუხის შემდეგ მეგონა, ამას აღარ მკითხავდით — *გაიკვირვა კლუბის პრეზიდენტმა* — მე მჯერა მერაბ კოჭლაშვილის და მგონია, რომ მის გაწვრთნილ „ვიტ ჯორჯიას“ შეუძლია ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა. ფაქტია, კოჭლაშვილის ხელში „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონი გახდა, გუნდი თამაშობს ლამაზ და შემტევ ფეხბურთს, კოჭლაშვილის ხელში „ვიტ ჯორჯიამ“ მოიგო ყველა პრინციპული შეხვედრა.

— მათ შორის ორჯერ ჩემპიონ „დინამოსთან“... როგორ ფიქრობთ, რატომაა „ვიტ ჯორჯია“ „დინამოსთვის“ ყოველთვის უხერხული მეტოქე? რის ხარჯზე იგებს ხოლმე „ვიტ ჯორჯია“? განსაკუთრებული პრემია აქვთ თქვენს ფეხბურთელებს?

— არა, როცა „დინამოსთან“ წარმატებულ თამაშზე ვსაუბრობთ, მაღალი პრემიების ფაქტორი გამორიცხულია. სხვათა შორის, მეორე ეტაპის მეორე წრიდან ფეხბურთელებს მოგებისთვის ყველა მეტოქესთან ერთნაირი პრემიები ჰქონდათ. მგონია, რომ „დინამოს“ სახელი მათი მეტოქეებისთვის გამაღიზიანებელია. ჩვენ კი „დინამოსთან“ მართლაც განსაკუთრებული მონდომებით ვთამაშობთ. თანაც, როცა ბოლოს მოვუგეთ, იმ თამაშს, ფაქტობრივად, ჩემპიონობის ბედი უნდა გადაეწყვიტა.

— შარშან ჩემპიონობამდე ცოტა დაგვაკლდაო, თქვით. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ წლეულს მოუმატა და უკეთ თამაშობს. ბოდიში, მაგრამ ასე არ ვფიქრობ, მგონია, რომ წლევანდელი „ვიტ ჯორჯია“ შარშანდლისგან არ განსხვავდებოდა და იგივე ფეხბურთი ითამაშა. თქვენ რას იტყვით?

— ვერ დაგეთანხმებით. ვფიქრობ, „ვიტ ჯორჯიამ“ მოუმატა და უკეთ თამაშობს. მიმაჩნია, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ძალიან ძლიერი ფლანგები აქვს. მარცვალაძე და ადამია საქართველოში საუკეთესოთაგანი არიან. აქედან გამომდინარე, უფრო ძლიერად ვთამაშობთ ფლანგებზე, რისი დასტურიცაა ის, რომ ცენტრფორვარდ მელქაძის წასვლა გუნდს არაფრით დაეტყო და მისი შემცვლელი გოცირიძე ჩემპიონატის ბომბარდირია. უკეთ თამაშობს ჩვენი დაცვის ხაზიც, ბოლო 11 მატჩში სულ სამი გოლი გავუშვით. უფრო მოქნილია ნახევარდაცვაც. საერთოდ, ყველა აღიარებს, რომ „ვიტ ჯორჯიას“ მახასიათებელი სტაბილურობაა და ამაში, ალბათ, თქვენც დამეთანხმებით. თუ გახსოვთ, ადრე ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის ხაზი გვყავდა — მუჯირი, კობიაშვილი, ჭანკოტაძე, საჯაია — დღეს ამათგან მხოლოდ კობიაშვილია ჩვენთან, თუმც დაცვა მაინც კარგად თამაშობს. „ვიტ ჯორჯიას“ მინუსი საგოლე მომენტების გამოუყენებლობაა.

— სტაბილურობა ახსენეთ და, თამაშივით სტაბილურად ყოველი სეზონის ბოლოს „ვიტ ჯორჯიადან“ ორი-სამი ფეხბურთელი მიდის. წლეულს როგორ იქნება?

— არ გამოვრიცხავ, რომ მომავალი ჩემპიონატის დაწყებამდე ორი-სამი ტრანსფერი კიდევ გავაკეთოთ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ტრანსფერები პირველ საკვალიფიკაციო ეტაპამდე გავაკეთოთ. ტრანსფერები ჩვენი საკლუბო მუშაობის შემადგენელი ნაწილია. თუ მივიღებთ სერიოზულ წინადადებას, ფეხბურთელს წასვლაში ხელს არ შევუშლით.

— როგორც ამბობთ, შვიდი წელია, „ვიტ ჯორჯია“ გეგმაზომიერად ვითარდება, იზრდება კლუბის ბიუჯეტიც, მაგრამ... როგორ ფიქრობთ, ჯერ არ დამდგარა ის დრო, საქართველოს ჩემპიონმა ბაზა და სტადიონი ააშენოს, ავტობუსი შეიძინოს?

— ჩვენ ვმუშაობთ, მარცლაც ვვითარდებით და ადგილზე არ ვდგავართ. „ვიტ ჯორჯიას“ ბიუჯეტი მართლაც იზრდება, თუმც ჩვენ ამ გაზრდილი ბიუჯეტიანაც ძალიან, ჩემპიონატის მონაწილე გუნდთა სამეულშიც არ ვიყოთ... მაგრამ, ჩვენი ერთი თეთრი, შესაძლოა, ზოგის ხუთს უდრიდეს, ანუ ჩვენ ბიუჯეტს სწორად ვიყენებთ. „ვიტ ჯორჯია“ თუ სტადიონს და ბაზას ააშენებდა, ავტობუსს შეიძენდა, მაშინ გუნდს ასეთი შედეგები აღარ ექნებოდა.

— კი მაგრამ, ჩემპიონ გუნდს ბაზა, ავტობუსი, სტადიონიც ხომ უნდა ჰქონდეს?!

— ვმუშაობთ და ბაზაც, სტადიონიც და ავტობუსიც ჩვენს გეგმებშია. დღესდღეობით კი, შედეგებიდან ჩანს, რომ „ვიტ ჯორჯია“ უამისოდაც კარგად ემზადება. და როცა ვამბობ, ვმუშაობთ-მეთქი, ვგულისხმობ, რომ გუნდს მცხეთაში კარგი სავარჯიშო პირობები აქვს, ბოლო ხანს ცენტრალურის გარდა მოვაწყვეთ ერთი სათადარიგო და ერთიც წიდისსაფარიანი მოედანი.

— და ერთიც, საერთაშორისო სარბიელზე „ვიტ ჯორჯიას“ პერსპექტივაზე. თქვით, მგონია, გუნდი პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს გაივლისო...

— ჩემი გამოთვლით, პირველ ეტაპზე, ალბათ, იმ 12 ქვეყნის ჩემპიონთაგან ერთი შეგვხვდება, როგორც ბოლო ხანს არის ხოლმე. სავარაუდო მეტოქეები არიან ალბანეთის, ესტონეთის, სომხეთის, ირლანდიის, უელსის, ფარერების, ლუქსემბურგის, ჩრდილოეთ ირლანდიის, ყაზახეთის და სხვა ასეთი ქვეყნების ჩემპიონები. არ ვისურვებდი ალბანეთის, სომხეთის, ყაზახეთის გუნდებთან თამაშს, ამ ქვეყნებში ფეხბურთი საგრძნობლად განვითარდა, ჰყავთ ლეგიონერები და დიდი ინვესტიციებია ჩადებული. თუ სხვა ქვეყნის გუნდი შეგვხვდა, პირველ ბარიერს გადავლახავთ. თუ მეორე ეტაპსაც გავივლით, ეს უკვე სერიოზული წარმატება იქნება.

— შარშან და შარშანწინ „ვიტ ჯორჯია“ ინტერტოტოს პირველსავე ეტაპზე არცთუ ძლიერმა „ლოკერენმა“ და „პაშინგმა“ დაამარცხეს...

— ჯერ იმას გეტყვით, რომ „ლოკერენიც“ და „პაშინგიც“ საკმაოდ ძლიერი გუნდები იყვნენ. ჩვენი დამარცხების მერე ისინი შორსაც წავიდნენ და რამდენიმე სახელოვან გუნდსაც აჯობეს. ჩვენ კი მათ თანაბრად ვეთამაშეთ და მინიმალური ანგარიშით დავმარცხდით. წლეულს მათთან ჩვენი შეხვედრისას რა იქნებოდა, ძნელი სათქმელია, თუმც ახლა, ჩვენი წინსვლის გათვალისწინებით, ამ გუნდების დამარცხების მეტი ალბათობა იქნებოდა.

ძოგა ინასარიძე

ბადრი ჯულელიძის ფოტო

უმაღლესიც ოჯახივით ხრამია: ბევრი სჭირდება

ერთწლიანი შესვენების შემდეგ რუსთავული ფეხბურთი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. ახალგაზრდა, თუმც უკვე წარმატებულ მწვრთნელ ვარლამ კილასონიას თაოსნობით რუსთაველებმა რთული ამოცანა გადაჭრეს — უსახსრო გუნდით გადამწყვეტი, საუმაღლესლიგო ბრძოლა მოუგეს მათ ზე შეძლებულ „მცხეთას“. კილასონია რუსთაველებს შარშანწინაც მოევლინა მშველელად, როდესაც ფაქტობრივად გასავარდნ „გორდას“ საპლეიოფო მატჩში „ქობულეთთან“ გაამარჯვებინა.

მოკლედ რუსთაველები კვლავაც უმაღლესში არიან. წარმატებით გამოწვეული სიხარული და ემოციები ჩაცხრა, მომავალი კი არცთუ სახარბიელო ჩანს, თუკი „რუსთავი“ ფინანსურად არ გაძლიერდა, უმაღლესში ფეხის მოკიდება გაუჭირდება.

რუსთავულ ამბებზე გუნდის მთავარ მწვრთნელს ვარლამ კილასონიას ვესაუბრეთ



ვარლამ კილასონია

— „რუსთავში“ ზამთარში მიხვედით. მაშინ გუნდი სატურნირო ცხრილის შუაში იყო და უმაღლესში გადასვლის ისეთივე შანსი ჰქონდა, როგორც რეგიონალლიგაში გავარდნის, თანაც გუნდში დიდი ფინანსური პრობლემები დაგხვდათ. ასეთ ვითარებაში გუნდის ჩაბარება სარისკო არ იყო?

— რისკი იყო, რადგან „რუსთავს“ რეგიონალლიგაში გავარდნის უფრო მეტი შანსი ჰქონდა, მაგრამ ჩემთვის უმაღლესში გადასვლა არავის მოუთხოვია. იმ კონტინგენტით კი, რაც დამხვდა, პირველ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლა შესაძლებელი იყო.

— საშუასეზონოდ ხეირიანი შეკრება არ გქონიათ, „რუსთავმა“ კი მოჯრით მოიგო მატჩები მეორე წრეში. ასე ერთი ხელის მოსმით როგორ შეცვალეთ გუნდში ვითარება?

— ბიჭები გვერდში დამიდგნენ, ისინი ბოლომდე ასრულებდნენ ჩემს თითოეულ მითითებას. დისციპლინა მაღალ დონეზე გვქონდა. ნელ-ნელა ფეხბურთელებს თავდაჯერებაც შეემატათ და ბოლოს უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსიც გამოჩნდა.

— პლეი ოფში „მცხეთასთან“ მოგება ბევრისთვის მოულოდნელი იყო.

— რუსთავისთვის ეს არც მოულოდნელი უნდა იყოს და არც დიდი წარმატება. ეს ქალაქი თავისი საფეხბურთო ტრადიციებით ყოველთვის უნდა იყოს იმ დონეზე, რომ უმაღლესში ადგილი სანატრელი არ ჰქონდეს. „მცხეთას“ დამარცხება კი მოულოდნელი იმიტომ იყო, რომ ჩვენ ფაქტობრივად ჩვენ თავს ვაჯობეთ და მხოლოდ ჟინით და მონდომების წყალობით დავამარცხეთ უფრო ამბიციური და გაცილებით შეძლებული მეტოქე.

— ელოდით ამ გამარჯვებას?

— შინაგანად დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდით. ღმერთმა ალბათ იმიტომ არ გაგვწირა, რომ ჩვენ გულიანად, ბოლომდე დავიხარჯეთ და მიუხედავად მსაჯების მხრიდან საქმის გართულებისა, ძნელი, მაგრამ დამსახურებული მოგება გვერგო.

— უმაღლესში სხვა მოთხოვნებია. თქმა არ უნდა, ამ პირობებით აშკარად გაგიჭირდებათ საახალსეზონოდ...

— გამორიცხულია, ამ კონტინგენტით და ასეთი დაფინანსებით უმაღლესში „რუსთავმა“ მედგარი იფექრიოს. არ ვამბობ, რომ ამ შემადგენლობით უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლა შეუძლებელი იქნება, მაგრამ ვთვლი, რომ „რუსთავს“ დასარჩენად საბრძოლოდ არ უნდა ჰქონდეს საქმე. მინდა შეკრული, დაბალანსებული და ფინანსურად უზრუნველყოფილი გუნდი გვყავდეს, საამისოდ კი ფინანსებია საჭირო. ფული თუ გამოჩნდა, გუნდსაც გავაძლიერებთ და გარკვეული მიზნებისთვის ბრძოლაც შესაძლებელი იქნება. 14 ივნისამდე შვებულებაში ვართ, იქამდე კი, ვფიქრობ, გუნდს ინვესტორები გამოუჩნდებიან, ამის იმედს მაძლევენ ქალაქის ხელმძღვანელები.

— ქართულ ფეხბურთში ალღოიანი, იღბლიანი და პერსპექტიული მწვრთნელის სახელი დაიგდეთ, ალბათ სხვა გუნდებიც დაინტერესდებიან თქვენით. წახვალთ რუსთავიდან?

— გამორიცხული არაფერია. თუკი „რუსთავში“ უმაღლესი ლიგის შესაბამისი პირობები არ გაჩნდა, გუნდში დარჩენის პერსპექტივას ვერ ვხედავ, ასეთ შემთხვევაში ალბათ მუშაობის სხვაგან გაგრძელებაზე ვიფიქრებ.

პაატა ძვანტალიანი

სიღაგაძე ალგათ იქით

ბადრი ჯიშკარიანის ფოტო

რუსთაველ მცველს, ლევან სილაგაძეს „დინამოსთან“ კონტრაქტი ამოეწურა და ახლა რუსულ პრემიერლიგაში დაბრუნებაზე ფიქრობს. ისე ჩანს, ლევანს ერთ-ერთი რუსული კლუბის ვარიანტი უკვე დაბეჭდულიც აქვს, ოღონდ მის გამხელას არ ჩქარობს. „დინამოში“ სილაგაძემ სულ სამი თვე გაატარა და გუნდმა თასი რომ მოიგო, ამაში მისი დიდი წილიც არის. „ტორპედოსთან“ ფინალურ მატჩში სწორედ მისმა თავურმა მოუტანა „დინამოს“ გამარჯვება.

— თასის ფინალის მერე თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი, „დინამოში“ ხომ სულ სამი თვის მობრუნებული ვიყავი და სეზონი ლამაზად დავასრულე.

— „დინამოსთან“ დაკავშირებით რა გეგმები გაქვს?

— აქ რომ ჩამოვედი, კლუბთან სამთვიანი კონტრაქტი გავაფორმე, რომელსაც სეზონის დასრულებისთანავე ვადა გაუვიდა.

— აპირებ კონტრაქტის გაგრძელებას?

— არსად მეჩქარება. ხვალ ოჯახთან ერთად დასასვენებლად მივდივარ. 11 ივნისს თბილისში დავბრუნდები და მხოლოდ ამის შემდეგ ვეტყვი „დინამოს“ ხელმძღვანელობას ჩემს საბოლოო პასუხს.

— მანამდე რა შეიძლება შეიცვალოს?

— არაფერი, უბრალოდ, უკეთეს ვარიანტებზეც ვფიქრობ. რუსეთში დაბრუნებასაც არ გამოვრიცხავ, ბევრს იქ კიდევ ვახსოვარ და იცან, რა შემიძლია. ალბათ უკლუბოდ არ დავრჩები.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს უკვე იცი, რომელი კლუბია შენით დაინტერესებული...

— რამდენიმე რეალური ვარიანტი ჩანს, ესაა და ეს.

— „დინამოდან“ წამყვანი მოთამაშეები მიდიან. ამანაც ხომ არ განაპირობა ახალი კლუბის ძიება?

— არც უმაგისობაა. საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ვინ იქნება ჩემს გუნდში, ვის გვერდით ვითამაშებ, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ „დინამო“ ყოველთვის ანგარიშგასაწევი გუნდი იქნება.

— საქართველოდან წასვლის შემთხვევაში ნაკრების ხელმძღვანელობას თვალთახედვის არეში რომ არ ეყოლები, ეს არ გაშინებს?

— კი, მაგრამ, ეს სამი თვე მათ თვალწინ არ ვიყავი?! თუმცა ერთი წინადადებაც არ მიმიღია. ეს ცალკე სალაპარაკო თემაა. რატომ ხდებოდა ასე, ვერაფერს გეტყვით. თუ უნდათ, რუსეთშიც დამინახავენ.

დავით ერაძე

მაინცი თუ არმინია?

ჯიქიას გერმანია გადაეჯდო, პოლონეთი კი გამოეჯდო

აპრილის ბოლოს მიღებული ტრავმა რომ არა, პოლონური „ამიკას“ ქართველი ნახევარმცველი მამია ჯიქია ახალი სეზონიდან ბუნდესლიგაში ითამაშებდა, თუმც ეს საქმე საბოლოოდ მაინც არ ჩაშლილა. ჯიქიას ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ გერმანიაში გადავა, სადაც მისით ორი კლუბია დაინტერესებული. ჩვენებურს „ამიკაც“ სთავაზობს კონტრაქტის გაგრძელებას და ერთ-ერთი პოლონური კლუბიც ეპატიჟება.

ასე რომ, ჯიქიას ნაღდად ცხელი ზაფხული ელის და რა როგორ იქნება, მალე გადაწყვეტს...

— 4 ივნისს გერმანიაში უნდა ვყოფილიყავი და სამედიცინო შემოწმება გამევლო. ამ ტრავმის გადამკიდემ კი აღარ ვიცი, რა ვქნა, თუმცა ნელ-ნელა ვარჯიშს უკვე ვიწყებ და იმედია, მალე სრულად გამოვჯანმრთელდები.

— რომელი გერმანული კლუბებია შენით დაინტერესებული?

— ორია. ერთი ცხრილის შუაგულშია, მეორე კი წლეულს გადავიდა ბუნდესლიგაში.

— იქნებ გაგვიმხილო...

— წინასწარ არ მინდა რამის თქმა.

— ტრანსფერი ხომ უკვე ჩაშლილია და დამალვას რა აზრი აქვს?

— ჩაშლილი რატომაა?

— აბა, 4 ივნისს იქ უნდა ყოფილიყავი და, ტრავმის გამო ვერ მივდივარო?

— საქმე ისაა, რომ გერმანელებმა მითხრეს, ივლისამდე დაგველოდეო. შესაძლოა, ივლისში მაინც წავიდე.

— მეორედან პირველ ბუნდესლიგაში გადასული სულ სამი გუნდია. „ნიურნბერგი“ ხომ არ არის?

— არა.

— ესე იგი, ორი დარჩა: „არმინია“ და „მაინცი“...

— ნაღდად ვერ გეტყვი, როცა რამე გაირკვევა, მერე ყველაფერს გაიგებთ.

— მოკლედ, გერმანია ან პოლონეთი...

— ეგრეა. პოლონეთში „ამიკაც“ მთავაზობს კონტრაქტის გაგრძელებას და სხვა კლუბიც მეპატიჟება. ახლა არჩევანის გაკეთება მომიწევს. თან ორ ცეცხლს შუა ვარ: გერმანულ ვარიანტს ივლისამდე რომ დაველოდო და მერე უარი მითხრან, პოლონურ კლუბებსაც ვკარგავ და შესაძლოა, ჰაერში გამოვეკიდო. თუმცა რაღაცას მოვახერხებ. ალბათ „ამიკას“ მოველაპარაკები და გერმანიაში წასვლის უფლებას ვთხოვ. ასეთ შემთხვევაში ხომ თავადაც იხეირებენ ფინანსურად.

— ფეხი როგორ გაქვს?

— ახლა უკეთ ვარ. ორშაბათიდან ვარჯიშს ვიწყებ. სარეაბილიტაციო პერიოდი უკვე დავასრულე.

ძახა შალამბერიძე

მამია ჯიქიას (შუაში) ბუნდესლიგაში თამაშის შანსი გაუჩნდა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

რონალდოს სამში სამი

ბრაზილიამ არგენტინას პენალტი დაურტყა

VI ტური

ბრაზილია 3:1 არგენტინა

1:0, 2:0 რონალდო (17პ, 68პ), 2:1 სორინი (80), 3:1 რონალდო (90პ)

ბრაზილია: დიდა, კაფუ, ჟუანი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, ედმილსონი, ჟუნინიო პერნამბუკანო (ჟულიო ბაპტისტა 75), ზე რობერტო, კაკა (ალექსი 75), რონალდო, ლუის ფაბიანო

არგენტინა: კავალიერო, კიროგა, სამუელი, ჰაინცე, ხ. ძანეტი, მასკერანო, ლუის გონსალესი (აიმარი 61), სორინი, კილი გონსალესი, კრესპო, ს. დელგადო (მ. როსალესი 36, სავიოლა 61)

მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)

50 000 მაყურებელი

რონალდოს სამბა

ბელო ორიზონტეში რონალდომ სამჯერ შედეგიანად დაარტყა პენალტი და შედეგად ბრაზილიამ არგენტინა დაამარცხა — 3:1. ეს გახლდათ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა სამხრეთ ამერიკის ჯგუფში.

არგენტინელთა გოლი შეხვედრის დასრულებამდე 9 წუთით ადრე ხუან პაბლო სორინმა შეაგდო, ხოლო შეხვედრა რომ დასრულდა, მწვრთნელმა, მარსელო ბიელსამ თავისი ფეხბურთელები მსაჯს, ოსკარ რუისს გამოარიდა. მიუხედავად იმისა, რომ ზღვარგადასული არაფერი მომხდარა, უკმაყოფილებამ სამი (!) პენალტის გამო თავი ვერ დამალა.

ახლა, სამი წარმატებული პენალტის შემდეგ, მიმდინარე შესარჩევ ციკლში რონალდოს გოლების რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა.

როდესაც ანგარიში გახლდათ 2:0, მესამე გოლის გატანა რობერტო კარლოსს შეეძლო — მისი საჯარიმო მოედნის გარედან დარტყმული შორეულ ძელს შეეხო, თუმცა ძელს შეეხო, უფრო ზუსტად კი მიენარცხა „პარი სენ ჟერმენში“ მოთამაშე გაბრიელ ჰაინცეს თავურიც. „მანჩესტერ იუნაიტედის“ სამიზნეს საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე რომ შეეგდო, შეხვედრა ფრედ დასრულდებოდა, მაგრამ მოთამაშემ, რომელიც, სხვათა შორის, პირველ პენალტში გახლდათ დამნაშავე, ვერ ისარგებლა იმით, რომ ბრაზილიელმა მცველებმა იგი უმეთვალყურეოდ დატოვეს.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მეორე პენალტში დამნაშავე გახლდათ ხავიერ მასკერანო, ხოლო მესამეში მეკარე პაბლო კავალიერო და სამივე პენალტი ერთმა ადამიანმა მოინადირა, მან ვინც ისინი გაიტანა — რონალდომ.

ოცდამეათე წუთზე ანგარიშის გაქვითვის ჩინებული საშუალება ჰქონდა ერნან კრესპოს. მას ბურთი კუთხურიდან ჩააწოდეს და თავი დაარტყა, მაგრამ ამ დარტყმას შედეგი არ მოუტანია, კრესპოს შემდეგ ამხტარ სორინს კი თავის გაქნევა ოხრად დაურჩა.

იყო ასეთი მომენტიც: არგენტინელებმა კუთხური ჩააწოდეს, ხოლო სესარ დელგადომ გოლიც შეაგდო, მაგრამ ის არ ჩათვალეს, რადგან კუთხურიდან მომავალმა ბურთმა გზად მოედნის კიდე გადაკვეთა და შემდეგღა შებრუნდა თამაშში. ამ ამბავს წამებით უსწრებდა რობერტო კარლოსის საჯარიმო დარტყმა არგენტინელთა კარისკენ, ხოლო მოგვიანებით, უკვე სორინმა ვერ ისარგებლა იმავ რობერტო კარლოსის შეცდომით.

„რონალდო მსოფლიოში საუკეთესო თავდამსხმელია და დიდი ბედნიერებაა, რომ ის ბრაზილიელია — განაცხადა მატჩის შემდეგ რონალდოს ბრაზილიელობით გახარებულმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ — სამწუხაროდ, ბრაზილიაში ჯერ კიდევ არის ხალხი, რომელსაც რონალდოს განსაკუთრებულობაში ეჭვი ეპარება. ვიმედოვნებ, დღეს ყველამ დაინახა, რომ განსხვავებას მეტოქეებთან სწორედ ეს ფეხბურთელი იძლევა“.

არგენტინელთა მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ, სხვათა შორის, სამი პენალტის გამო არ დაიწუწუნა. მან სხვა საკითხებზე გაამახვილა ყურადღება.

„მატჩის ბედი მართლაც რონალდომ განსაზღვრა. სამი თერთმეტმეტრიანის გამო არ ვწუწუნებ, მაგრამ მწამს, რომ ჩემი გუნდი უკეთეს შედეგს იმსახურებდა. პირველ ტაიმში, მაგალითად, უპირატესობა ჩვენი იყო, ბურთს ჩვენ ვფლობდით და ამის გამო მომენტებსაც ვქმნიდით. ერთი სიტყვით, შეგვეძლო შედეგი შეგვეცვალა, მაგრამ არ გამოვიდა“.

კითხვაზე, რატომ შეცვალა დელგადო მაურო როსალესით, ბიელსამ უპასუხა:

„იმ ზონაში, რომელშიც დელგადო შეუდარებელია, დღეს ძალიან ძნელი იყო თამაში და გოლის გატანა“.

ისევ პარეირა: „ჩინებული გამარჯვება ძნელ თამაშში — მე ასე დავარქმევდი დღევანდელ ამბავს. გოლები წესების სრული დაცვით გავიდა, პენალტი სამივე შემთხვევაში სამართლიანად დაინიშნა. მეტიც, კიდევ შეგვეძლო ერთი-ორის გატანა“.

პაპუნა კედია

ეკვადორი 2:1 კოლუმბია

1:0 დელგადო (3), 1:1 ოვიედო (56), 2:1 სალასი (66)

ეკვადორი: ხ. ესპინოზა, დე ლა კრუზი, ი. ურტადო, ჯ. ესპინოზა, ამბროსი, აიოვი (ლასტრა 87), ე. ტენორიო, ე. მენდესი (აგინაგა 65), კ. კალა, ფიგეროა (ფ. სალასი 50), ა. დელგადო

კოლუმბია: კალერო, პერეა, იეპესი, ი. კორდობა, ბედოია (დ. ფერეირა 78), ფ. ვარგასი, ხ. რამირესი, ვიაფარა (ვივეროსი 46), ოვიედო, ვალენტიერა (ე. მურილიო 70), ლ. რეი

გაძევება: მურილიო (88)

მსაჯი: ექტორ ბალდასი (არგენტინა)

40 000 მაყურებელი

ეკვადორმა კოლუმბიას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მეოთხე მარცხი აგემა. გამარჯვების გოლი შეცვლაზე შესულმა ფრანკლინ სალასმა გაიტანა, იქამდე კი მასპინძლები აგუსტინ დელგადოს გოლით იგებდნენ, მაგრამ ფრენკი ოვიედომ გაათანაბრა. საინტერესოა, რომ დელგადოს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე სანაკრებო გოლი არ გაეტანა.

მატჩის მიწურულს კოლუმბიელები კაცნაკლუნიც დარჩნენ, როცა ელვინ მურილიომ კარატეს ილეთი ჩაუტარა ედვინ ტენორიოს, მსაჯმა კი წითელ ბარათად შეუფასა.

ბრაზილია	6	3	3	0	10:6	12
არგენტინა	6	3	2	1	11:6	11
ჩილე	6	3	1	2	8:6	10
პარაგვაი	6	3	1	2	9:8	10
ვენესუელა	6	3	0	3	6:7	9
პერუ	6	2	2	2	9:7	8
ეკვადორი	6	2	1	3	5:5	7
ურუგვაი	6	2	1	3	12:14	7
ბოლივია	6	2	0	4	7:13	6
კოლუმბია	6	1	1	4	5:10	4

ბომბარდირები

რონალდო (ბრაზილია)	6
ხოსე კარდოზო (პარაგვაი)	5
ჩევანტონი (ურუგვაი)	4
ბოტერო (ბოლივია)	4
კრესპო (არგენტინა)	4
ფორლანი (ურუგვაი)	4

ყოველი პენალტის მერე არგენტინელები მსაჯს ედავებოდნენ

ფული და ზეგავლენა

რივალდოსთან ბიბლიოთეკა

მომავალ სეზონში ყატარს კიდევ ერთი ვარსკვლავი მიაკითხავს — ბრაზილიელმა რივალდომ ინგლისურ „ბოლტონთან“ თანამშრომლობა არ ისურვა და ზღაპრული ხელფასით მოხიბლული ერთი წლით უდაბნოს მცხუნვარე მზის ქვეშ იბურთავებს.

როგორც ყატარის ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკურმა დირექტორმა, მანფრედ ჰინერმა BBC-ს განუცხადა, ბრაზილიელმა მსოფლიოს ჩემპიონმა კონტრაქტს დიდი სიამოვნებით მოაწერა ხელი და ამ ერიდან თავის ჯადო-ფეხებს ყატარულ ლიგაში გამოფენს.

„რივალდო ჩვენთან თანამშრომლობაზე ხალისით დათანხმდა. იგი რამდენიმე დღე დარჩა ყატარში, რათა აქაურობას გასცნობოდა და საცხოვრებელი სახლი შეერჩია — თქვა ჰინერმა, რომელმაც ალბინელ ჟურნალისტებს არც არაბული გარიგების ფულუხვი მხარეები დაუმალა — რა თქმა უნდა, ხელშეკრულების მოწესრიგება ეკონომიკური ფაქტორების სრული შეთანხმებით მოხდა. ფეხბურთელებს სწორედ კონტრაქტის ციფრული მხარე აინტერესებთ, რაც რივალდოს შემთხვევაში ჰარმონიულად მოვაგვარეთ. ახლა ბრაზილიელისთვის მისაცემი თანხის დასახელება არ შემიძლია, მაგრამ შედარებისთვის ერთ მაგალითს მოგიყვანთ — თუ მეტყვიან, რომ „ბოლტონი“ ან „სელტიკი“ მზად იყვნენ რივალდოსთვის კვირაში 30 ათასი გირვანქა გადაეხადათ, მე ალბათ გამეცინება. ჩვენ რივალდოსთვის შეუდარებლად მეტი გვაქვს განკუთვნილი“.

შეგახსენებთ, რომ 32 წლის რივალდომ კარლო ანჩელოტის „მილანი“ შარშან მიატოვა და „კრუზეიროში“ მცირეხნიანი ბურთაობის შემდეგ დღემდე უკლუბოდ იყო. ამ ბოლო ჟამს „ბარსელონას“ ყოფილ ლეგენდას თითქოს ინგლისელი სატრანსფერო აგენტები დასტრიალებდნენ, მაგრამ ბრაზილიელის ასაკიდან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, იგი აღმოსავლური მილიონებისა და წყნარი, უშფოთველი ცხოვრებისკენ უფრო რომ მიილტვის, ვიდრე პრემიერლიგის უშელავათო ომებისა და ბოლტონური ანაზღაურებისკენ.

ლადო ხომერიკი



მე ვარ და ჩემი ჩელსიო

მაურინიუმ ინგლისს თითი დაუქნია

ჟოზე მაურინიუმ „ჩელსისთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, 5 მილიონი გირვანქის სურნელიც შეისუნთქა და შემდეგ, ვინც კი ახსენა, ყველაზე გაიარ-გამოიარა. მაგალითად, 41 წლის პორტუგალიელმა, რომელსაც „პორტუს“ მწვრთნელის რანგში უკვე მოპოვებული აქვს უეფას და ჩემპიონთა თასები, „ჩელსის“ წინა ხელმძღვანელზე, იტალიელ კლაუდიო რანიერიზე ასე თქვა:

„მხოლოდ ის ვიცი, რომ რანიერი 20 წელიწადია, ფეხბურთშია და ესპანეთის თასის მეტი არაფერი აქვს მოგებული. არ მსიამოვნებს ამაზე საუბარი, მაგრამ რაკი მეკითხებით, ერთადერთი, რისი აღნიშვნაც შეიძლია, ეს არის“.

მოგეხსენებათ, მაურინიუმ ჩემპიონთა თასი სულ ახლახან მოიგო და გუნება-განწყობაც შესაბამისი აქვს, ხოლო რანიერიზე ასე მწარედ, ალბათ, იმიტომ თქვა, რომ ერთი ხნის წინ, თავად იტალიელმა გამოთქვა ეჭვი მისი გამოცდილების თაობაზე — მაურინიუს გამოცდილების ადამიანს ინგლისში შესაძლოა, ცოტა გაუჭირდესო.

მაურინიუ: „მე არ მესიამოვნა რანიერის ნათქვამი, რომ პორტუგალიაში გამარჯვება იოლია, მაგრამ მიჯობს სხვათა აზრებს ყურადღება არ მივაქციო, ასე უფრო ჭკვიანური იქნება, მეორე მხრივ, თუ ახლა ბატონი რანიერის ვინმე მეგობარი ან ისეთი ადამიანი მისმენს, რომელსაც სიტყვის მიტანა შეუძლია, გთხოვთ, აუხსნათ, რომ როდესაც ესა თუ ის გუნდი უეფას თასსა და ჩემპიონთა ლიგას იგებს, ესე იგი, ის სხვა ქვეყნების გუნდებსაც ხვდება. მე უეფას თასი და ჩემპიონთა ლიგა 20 პორტუგალიელ მეტოქესთან ბრძოლაში არ მომიგია, მთელი ევროპის საუკეთესო კლუბებს ვამარცხებდი, მათ შორის რანიერის მშობლიური იტალიიდან და აგრეთვე ინგლისსა და ესპანეთიდან“.

ამის შემდეგ კი მაურინიუმ არსენ ვენგერს დაუქნია თითი, „არსენალის“ პრემიერლიგური რეკორდების მსხვრევა ჩემს ხელშია:

„ჩემი სკაუტები ევრო 2004-ს დაკვირვებით შეისწავლიან და შემდეგ სეზონისწინა ამხანაგურებსაც ჩაუჯდებიან. როდესაც ომში მიდიხარ, მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეები ზედმიწევნით უნდა იცოდე. ახლავე ვამბობ: ამ სეზონში თუ ვერ გავიმარჯვებ, ეს ჩავარდნა იქნება, მაგრამ „ჩელსიში“ უმაღლესი დონის ფეხბურთელები და, ბოდიში ამპარტავნობისთვის, უმაღლესი დონის მწვრთნელი გვყავს“.

ინგლისში ჩაბრძანებულმა მაურინიუმ მანჩესტერში ინგლისის ნაკრების საწვრთნელი ცენტრი მოინახულა და „ჩელსის“ წევრები, ფრენკ ლამპარდი, ჯონ ტერი, უეინ ბრიჯი და ჯო კოული გაიცნო.

პაპუნა კედია

რანიერი დაკლეს და შამფურზე წამოაგეს

კლაუდიო რანიერის ვალენსიელებთან ურთიერთობა, შესაძლოა, 6 მილიონის დაკარგვად დაუჯდეს

კლაუდიო რანიერიმ შეიძლება 6 მილიონი ჩელსური გირვანქა დაკარგოს, თუ ამ ზაფხულს „ვალენსიას“ ჩაუდგება სათავეში.

ჩახლართული ვითარებაა. კერძოდ, „ჩელსიდან“ გაგდებულ რანიერის ესპანური „ვალენსიას“ გენერალურ მენეჯერთან, მანუელ ლორენტესთან ჰქონდა ორდღიანი მოლაპარაკებები. „ჩელსის“ კი მოგეხსენებათ, უკვე პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუ ჰყავს დაქირავებული. ამასთან, იმავ „ჩელსის“ განცხადებული აქვს, რომ რანიერის კომპენსაციის გადახდას იმ დღეს შეუწყვეტს, რა დღესაც ის ახალ სამსახურში მოეწყობა.

შეგახსენებთ, რომ იტალიელი რანიერი ესპანურ „ვალენსიას“ 1999 წელს უკვე წვრთნიდა.

რანიერიმ განაცხადა: „ვალენსიელებთან კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობა მართლაც მაქვს, მაგრამ ჯობს არ ვიჩქარო. უპირველეს ყოვლისა, მინდა შევისწავლო რა ბედი ელის ჩემს კონტრაქტს „ჩელსისთან“. ლონდონურ კლუბთან დღეს ჩემი წარმომადგენლები მუშაობენ“.

„ჩელსის“ აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონი: „ჩვენ ხელშეკრულებას ცხადია, პატივს ვცემთ. თუ რანიერი უახლოესი სამი წლის განმავლობაში სამსახურში ვერ მოეწყობა, რაც ჩვენგან ეკუთვნის, ბოლომდე მიიღებს, მაგრამ თუ ხვალ ახალ სამსახურს დაიწყებს, მაშინ კაპიკს აღარ გადავუხდით“.

აღსანიშნავია, რომ რანიერის შეძენით დაინტერესებული გახლდათ ლონდონის კიდევ ერთი გუნდი, „ტოტენჰემ ჰოთსპურიც“, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა.

„ჩემს კარიერაში უდიდესი გულისტკივილი მეწვია. „ჩელსიდან“ ისე გამიშვეს, რომ ქომაგებს ხეირიანად არც დავმშვიდობებივარ. ტელევიზიით ვუცქირე, როგორ ემშვიდობებოდა „ლივერპულის“ ფანებს ჟერარ ულიე, მაგრამ მე ეს ბედნიერება არ მხვდა წილად. განტევების ვაცი გამოვდექი. ჯერ დამკლეს და შემდეგ შამფურზე შემწვეს“ — თქვა იტალიელმა, რომელსაც სამსახურიდან დათხოვნილი ხარო, რომში დასასვენებლად ჩასულს ტელეფონით უთხრეს.

პაპუნა კედია

მილიონი გირვანქა ბენიტესისთვის

ვალენსია ლივერპულს ფულს სძალავს

„ვალენსია“ „ლივერპულს“ რაფაელ ბენიტესის სანაცვლოდ კომპენსაციას სთხოვს.

44 წლის ბენიტესი, მოგეხსენებათ, სამშაბათს შემდეგ ესპანეთის ჩემპიონის მწვრთნელი აღარ არის და ამბობენ, რომ მომდევნო 10 დღეში მას „ლივერპულში“ ჟერარ ულიეს შემცვლელად დაასახელებენ, მაგრამ არის ერთი საკითხი: ბენიტესს დაახლოებით 1 მილიონი გირვანქის ტოლფასი კომპენსაცია ეკუთვნის და, სავარაუდოდ, ამ თანხის გადახდა ინგლისელებს მოუწევთ.

საინტერესოა, რომ თავად ბენიტესს ეგონა, კაპიკს აღარ აიღებდა, რადგან განცხადება კლუბიდან წასვლის შესახებ 15 დღით ადრე ჰქონდა დაწერილი, მაგრამ ვალენსიელთა პრეზიდენტმა ხაიმე ორტიმ დაიჩემა, რომ კონტრაქტის თანახმად, ერთი წელიწადია დარჩენილი და, შესაბამისად, მწვრთნელს თანხა ერგებაო.

ორტის ასეთმა დაჟინებამ ბუნებრივად გამოიწვია დაბრკოლება ბენიტესის ინგლისში გადასვლის საქმეში, თუმცა საქმეში ჩახედულნი ამბობენ, რომ „წითლები“ უკან მაინც არ დაიხევენ.

საინტერესოა, რომ ბენიტესს თურმე „ლივერპულში“ მთელი თავისი შტაბი მიჰყავს.

პაპუნა კედია

მიწიერი და ბიწიერი

სექსი იტალიურად, ქორწილი ბულგარულად, კომედია ინგლისურად



კრისტიან ვიერი არც ევროპის ჩემპიონატზე მოიწყენს

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ თავის ფეხბურთელებს პორტუგალიაში ცოლების და მეგობარი გოგოების წაყვანის უფლება მისცა. მიხვდებით, რომ წაყვანაში სხვა რაღაცაც იგულისხმება. თმაჭაღარა მწვრთნელმა თქვა, ბიჭებს განტვირთვაც დასჭირდებათ და ამისთვის საუკეთესო გზა ეგ არისო.

ფეხბურთელებს გამოუცხადეს, რომ ყოველ საღამოს ერთი საათით შეუძლიათ ესტუმრნონ თავიანთ რჩეულებს და კაცმა რომ თქვას, ამ ერთ საათში ბევრი რამის მოსწრება შეიძლება.

და თუ „სკუადრა აძურა“ მეოთხედფინალში გავა, ფეხბურთელებს ცოლებთან და გელფრენდებთან ერთხელ მთელი დღითაც გაუშვებენ — მერე ნახეთ, რამდენს მოასწრებენ!

ტრაპატონის არც ხორვატთა თავკაცი ოტო ბარიჩი ჩამორჩა. ჩამორჩა კი არა, გააუსწრო კიდეც, ფევის ფეხბურთელებს გამოუცხადა, სექსი და სიგარეტი გექნებათ, მაგრამ ვაი, იმის ბრალი, ვინც მერე თამაშისას ვერ ივარგებსო.

თუკი იტალიელთა ყოფა პორტუგალიაში ძალიან მიწიერი და ბიწიერი იქნება, ინგლისის ნაკრები მხოლოდ მიწიერ გასართობებს დასჯერდება. გოლფი, ბილიარდი, ფილმები — სასტუმრო „სოლფლეიში“, სადაც ინგლისელები დაბანაკდებიან, ქალების ჭაჭანი არ იქნება. გოლფის მოედანი და ბილიარდის მაგიდები სასტუმროშივეა, ვიდეო დისკების დიდ პარტიას კი ნაკრები თან ჩაიტანს. ვიდეოკოლექციაში კომედიები სჭარბობს. კომედიების გარდა ინგლისელებს ისეთი ფილმებიც ჩააქვთ, როგორიცაა, ვთქვათ, „გაქცევა შაუშენკიდან“ და „ბეჭდების მბრძანებელი“. პორტუგალიაში წასაღებ წიგნებს შორის კი ინგლისის მორაგბეთა ნაკრების კაპიტნის, მარტინ ჯონსონის ავტობიოგრაფია ითვლება ჰიტად.

ბულგარეთის ნაკრებში კი ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც სექსის უფლება მიეცა, ვლადიმირ მანჩევია. ამ რამდენიმე დღის წინ „სარბიელის“ ბოლო გვერდზე მისი ქორწილის ფოტოს ნახავდით და მანჩევის ასეთი იღბლიანობის მიზეზიც სწორედ ესაა. დანარჩენ ფეხბურთელებს კი ქორწილში მოლხენაც არ აცალეს — მწვრთნელმა პლამენ მარკოვმა საღამოს ვარჯიშზე უკრა თავი.

კოტე კეკელია

სიმამრის ნაამბობი

მიქაელ ლაუდრუპი უეფაზე 10 წლით უმცროსია

1992 წელს დანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო. სად იყო მაშინ ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული მიქაელ ლაუდრუპი? — კარიბის ზღვის ტალღებს ეთამაშებოდა

ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით უეფა ცნობილი ფეხბურთელების მოგონებებს აქვეყნებს. მიქაელ ლაუდრუპის დროც დადგა და დიდი დანიელი წარსულს იხსენებს. იგი ამჟამად ეროვნული ნაკრების მწვრთნელის, მორტენ ოლსენის თანაშემწეა.

ჩემი ქვეყანა პატარაა, მაგრამ შეუძლია, დაიტრაბახოს იმით, რითაც ინგლისი, ესპანეთი, იტალია და ჰოლანდია თავს ვერ მოიწონებენ — დანიამ ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ ექვსჯერ ითამაშა. ფინალურ ტურნირზე მაშინაც კი გავდიოდით, როცა არცთუ ძლიერი გუნდი გვყავდა.

1984 წელი ყოველთვის ტკბილად მაგონდება — მაშინ ევროპის ჩემპიონატზე დანიის დებიუტი შედგა.

ძალიან რთული შესარჩევი ჯგუფიდან გავძვერით. ინგლისს „უემბლიზე“ ალან სიმონსენის პენალტით ვძლიეთ, საბოლოოდ კი პირველი ადგილი დავიკავეთ და ჩავედით საფრანგეთში, სადაც ფავორიტებად არავინ გვთვლიდა.

პირველი მატჩი მასპინძლებთან „პარკ დე პრენსზე“ გვქონდა. გადავწყვიტეთ, ჩვენებური ფეხბურთი გვეთამაშა, თან სიამოვნება მიგვეღო, ხოლო შედეგი ნაკლებად გვაღელვებდა. საკმაოდ კარგად დავუდექით ფრანგებს და მხოლოდ მიშელ პლატინის კინკილა გოლით წავაგეთ, მოედანი კი თავაწეულებმა დავტოვეთ.

მომდევნო შეხვედრაში გავილაღეთ. მანამდე იუგოსლავია არასოდეს დაგვემარცხებინა და ლიონში 5:0 გავანადგურეთ. ვიცოდით, რომ აღმოსავლეთევროპული გუნდები ერთ ან ორ გოლს თუ გაუშვებდნენ, უმალ ირეოდნენ და სწორედ ასე მოხდა. 0:2-ზე სამი-ოთხი იუგოსლავიელი, ფაქტობრივად, გაჩერდა. ჩვენი გულშემატკივრების გულიანი მხარდაჭერაც შესანიშნავად მახსოვს.

მესამე მეტოქე ბელგია იყო, რომელსაც სტრასბურში ვძლიეთ, იმ დროს ნაკრებში 4-5 „ანდერლეხტის“ ფეხბურთელი გვყავდა ჩვენც და ბელგიელებსაც. ასე რომ, მოედანზე ათამდე თანაგუნდელმა ერთმანეთის წინააღმდეგ ითამაშეს.

38-ე წუთისთვის 0:2-ს ვაგებდით, პირველი ტაიმის მიწურულს პენალტით ერთი გავქვითეთ, ხოლო მეორე ნახევარში კენეტ ბრილმა გაათანაბრა.

ნახევარფინალში გასასვლელად ფრეც გვყოფნიდა, მაგრამ ელკიერმა გამარჯვების ბრწყინვალე გოლი გაიტანა — მოედნის ცენტრიდან კარამდე ჩაისეირნა და ისე შეაგდო ბურთი. ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტები უკეთესს ვერც ვინატრებდით — ჩვენ ხომ კონტინენტის ოთხ საუკეთესო გუნდში აღმოვჩნდით.

ნახევარფინალში იღბალმა გვიგანა. ესპანელებს აშკარად ვჯობნიდით, შეხვედრის დასაწყისში დავწინაურდით, შემდეგ კი ორჯერ ბურთი ძელს მოვარტყით. ერთი რომ გაგვეტანა, ფინალში გავძვრებოდით. საბოლოოდ პენალტების სერიაში დავმარცხდით.

მეორე ნახევარფინალში ფრანგებმა გაჭირვებით სძლიეს პორტუგალიას და ესპანელებთან წაგება მით უფრო საწყენი იყო ჩვენთვის. ფინალში ფრანგებს რომ შევხვედროდით, მოგების დიდი შანსი გვექნებოდა, რადგან მასპინძლებმა ჩემპიონატის დასაწყისთან შედარებით ბოლოსკენ ძალიან უკლეს.

ევრო-84-ის გმირი მიშელ პლატინი გახლდათ. მისნაირები დღეს დიდი იშვიათობაა. ნახევარმცველი, რომელსაც სიღრმიდან შეტევის დაწყება, ორი-სამი ფეხბურთელის მოტყუება და საგოლე პასის მიცემა შეუძლია, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. პლატინი ხომ ბომბარდირიც გახდა.

ჩემი აზრით, პირველად საფრანგეთის ნაკრებმა დააყენა ნახევარდაცვაში ოთხი უნივერსალური ფეხბურთელი და თითოეულ მათგანს — ჟირესს, ტიგანას და ფერნანდეს — პლატინის ფუნქციების შესრულება შეეძლოთ.

მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე დანიამ და საფრანგეთმა კარგად ითამაშეს. ევრო-88-ზე ფრანგები ვერ მოხვდნენ, ხოლო ჩვენ ბევრი პრობლემა გვქონდა. რამდენიმე ფეხბურთელს კარიერის დასრულების დრო დაუდგა, ზოგი კი, მათ შორის მეც, ტრავმებმა გაგვტანჯა. 7-8 ფეხბურთელი გვყავდა, რომლებიც 1982 წლიდან ნაკრებში ერთად თამაშობდნენ. რა ექნა ზეპიონტეკს? როგორ ეთქვა ამ ბიჭებისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატზე მათი დახმარება აღარ სჭირდებოდა? მწვრთნელი მათ ენდო და კარიერაში ბოლო დიდ შეჯიბრზე თამაშის საშუალება მისცა, მაგრამ არ გაუმართლა.

ჩემპიონატზე ბევრი ტრავმირებულებით და ვეტერანებით ჩავედით. შედეგად სამივე მატჩი წავაგეთ. ახლა, როცა თავად ვმწვრთნელობ, ვაღიარებ, რომ პიონტეკის ადგილზე ისევე მოვიქცეოდი.

მერე 1992 წელი მოვიდა, მაგრამ ნაკრებთან უკვე აღარაფერი მაკავშირებდა. ჩვენები შვედეთში ჩავიდნენ, მე მაშინ „ბარსელონაში“ ვთამაშობდი. ისინი ჯგუფში ინგლისის დაუზავდნენ, მასპინძლებთან კი დამარცხდნენ, მესამე მატჩი ფრანგებთან აუცილებლად უნდა მოეგოთ. ანგარიში 1:1 იყო და ჩვენებზე ხელი ჩავიქნიე, მაგრამ ნამატჩევს სიმამრი ტელეფონით დამიკავშირდა და შითხრა, დანიამ 2:1 მოიგოო. ჰოლანდიასთან ნახევარფინალური მატჩის დროს ნიუ იორკში ვიყავი. მინ დაბრუნებ და [illegible]ების ნეიროის ამბებს სიმამრი ტელეფონით გადმომცემდა, ხოლო ფინალის დროს კარიბის მზეს ვეფიცხებოდი. კვლავ დავრეკე სახლში და შევიტყვე, რომ დანია პირველი ტაიმის შემდეგ იგებდა, ერთი საათის მერე კი შემატყობინეს — დანია ევროპის ჩემპიონია.

ვნანობ თუ არა, რომ შვედეთში გუნდს არ ვახლდი — რა თქმა უნდა, თუმც მე ნაკრებზე უარი 1989 წელს ვთქვი და სააძისოდ მიზეზები მქონდა. არ ვიყავი მზად, რომ ნაკრებში ლიდერობა კიდევ ერთხელ გამეწია და გამერისკა მაშინ, როცა ახალი კლუბი ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდა.

ჯერ საკლუბო დონეზე უნდა გავმხდარიყავი მსოფლიო დონის ფეხბურთელი, შემდეგ კი ნაკრებში დავბრუნდებოდი, ასეც მოვიქეცი. მგონი, ჩემი გადაწყვეტილება სწორი იყო. ესპანეთში მოგებულ ჯილდოებს კი ალბათ მაინც არ გავცვლიდი ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალში.

ევრო-96-ზე დანიას ძალიან გაუჭირდა, რადგან ჩვენგან ქომაგები მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდნენ. საბოლოოდ ჯგუფიდან ვერ გავედით. ოთხი ქულა მოვაგროვეთ, მეტს ნაღდად არ ვიმსახურებდით.

15 ივნისს დაბადების დღე მაქვს. 1984-ში — ინგლისში, 1998-ში კვლავ საფრანგეთში, 2000-ში — იაპონიაში... ახლა გადაწყვიტე, რომ დაბადების დღეს პორტუგალიაში არ შევხვდე. ოჯახთან ერთად დასვენებას ვაპირებ, ოღონდ ევროპას არ გავცდები. ზოგ მატჩს ტელევიზორში ვნახავ. სხვათა შორის, მე და უეფას ერთ დღეს გვაქვს იუბილე, მე 40-ის ვხდები, უეფა კი 50-ის. მგონი, საკმარისი მიზეზია საზეიმოდ.

გერმანიას კურანის შეერგო

მატჩი ამხანაგური კი იყო, მაგრამ მიროსლავ კლოზეს ფეხებში ბევრჯერ მოხვდა

ამხანაგური მატჩები

შვეიცარია 0:2 გერმანია

0:1, 0:2 კურანი (61, 84)

შვეიცარია: შტილი, ჰაასი (ბერნერი 82), მიულერი, მ. იაკინი (ანშო 46), მანინი (შპიხერი 46), ჰუგელი, ფოგელი (სელესტინი 80), ვიკი, ჰ. იაკინი (რამა 87), შაპუიზა (გიგაქსი 74), ა. ფრეი

გერმანია: კანი, ფრიდრიხი, ვიორნსი, ნოვოტნი, ლამი, შნაიდერი (ფრინგსი 62), ჰამანი (იერემისი 88), ბაუმანი (ერნსტი 65), ბალაკი (კელი 88), კლოზე (ბრდარიჩი 62), კურანი

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

30 000 მაყურებელი

თითქმის ნახევარი საუკუნეა, შვეიცარიას გერმანიის ნაკრები ვერ დაუმარცხებია. დავაზუსტოთ: ასეთი რამ ბოლოს 1956 წელს მოხდა. გუშინწინდელი ამხანაგური მატჩი კი მე-16 იყო იმ 1956 წლიდან.

თამაშმა პირველიდან ბოლო წუთამდე მაღალ ტემპში ჩაიარა და გერმანელთა ალალი გამარჯვებით დასრულდა. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც — ორივე გუნდისთვის ეს მატჩი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი იყო.

გერმანიამ, რომელიც აპრილში რუმინელთაგან 1:5 შერცხა, კევინ კურანის დუბლით გაიმარჯვა. პირველი გოლისას კურანიმ ბერნტ ჰაასის შეცდომით ისარგებლა. ჰაასმა ბურთს თავი უხეიროდ დაჰკრა და ბურთი მიროსლავ კლოზეს მიუგორა, კლოზემ კი კურანი საგოლე პოზიციაზე გაიყვანა. მეორე გოლი კი კურანიმ არნე ფრიდრიხის პასით, ექვსი მეტრიდან გაიტანა.

ამ მატჩში შვეიცარიის ნაკრების მაისურა მეასედ მოირგო სტეფან შაპუიზამ, მხიარულად აღნიშვნა კი არ გამოუვიდა.

კოტე კეკელია

ჩეხეთი 3:1 ბულგარეთი

1:0 ბაროში (54), 2:0 პლასილი (74), 3:0 როსიცკი (84), 3:1 მ. პეტკოვი (90)

ჩეხეთი: ჩეხი (ბლაჟეკი 46), გრიგერა, როზენალი (ბოლფი 46), უიფალუში, იანკულოვსკი (მარეში 72), როსიცკი, შმიცერი (პლასილი 70), გალაშეკი (ტისი 70), პობორსკი (ჰაინიცი 46), ნედვედი (ლოკვენცი 81; ვახოუშეკი 90), კოლერი (ბაროში 46)

ბულგარეთი: ზდრავკოვი (ივანკოვი 63), ივანოვი, კირილოვი, პაჟინი (მანჩევი 75), ი. პეტკოვი (სტოიანოვი 63), მ. ხრისტოვი (ბორიმიროვი 75), ს. პეტროვი, დიმიტროვი (მ. პეტროვი 46), ბერბატოვი (ზაგორჩიჩი 75), ლაზაროვი (პეევი 46), იანკოვიჩი (მ. პეტკოვი 70)

მსაჯი: ანტონ სტრედაკი (სლოვაკეთი)

25 000 მაყურებელი

აშშ 4:0 ჰონდურასი

1:0, 2:0 მაკბრაიდი (22, 37), 3:0 ლუისი (77), 4:0 სანე (81)

გაძევება: გუევარა (39, ჰონდურასი)

ირლანდია 1:0 იამაიკა

1:0 ბარეტი (27)

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

B ჯგუფი. III ტური

გერმანია 1:2 პორტუგალია

0:1 უგო ალმეიდა (23), 1:1 შვაინსტაიგერი (40), 1:2 ლოურენსო (78)

შვეიცარია 1:3 შვედეთი

1:0 ბარნეტა (22), 1:1 ჯეგი (39ს.კ.), 1:2, 1:3 როზენბერგი (63, 88)

საბოლოო ცხრილი

შვედეთი	3	3	0	0	8:3	9
პორტუგალია	3	1	1	1	5:6	4
გერმანია	3	1	0	2	4:5	3
შვეიცარია	3	0	1	2	4:7	1

შვედეთი და პორტუგალია გავიდნენ ნახევარფინალში

ნახევარფინალი. 5 ივნისი

იტალია — პორტუგალია

შვედეთი — სერბეთი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ოკეანეთი

II საკვალიფიკაციო წრე

III ტური

ავსტრალია 6:1 ფიჯი

სოლომონის კ-ები 4:0 ტაიტი

ვანუატუ 4:2 ახალი ზელანდია

ავსტრალია	3	3	0	0	16:1	9
სოლომონის კ-ები	3	2	0	1	5:3	6
ფიჯი	3	1	1	1	2:6	4
ახალი ზელანდია	3	1	0	2	5:5	3
ვანუატუ	3	1	0	2	4:4	3
ტაიტი	3	0	1	2	0:13	1

ევრო-2004. C ჯგუფი: იტალია, დანია შვედეთი, ბულგარეთი



ებე სანდი ისევ საგოლედაა მომართული

დაცვას მიხედეთ!

ვიკინგებს შეტევა უყვართ



ფაქტი სულიერმეცნიერი



გაანრიგი

14 ივნისი
გიმარაეში. „აფონსო ენრიკეში“. 21.00
დანია – იტალია
18 ივნისი
ბრაგა. „მუნისიპალი“. 21.00
ბულგარეთი – დანია
22 ივნისი
ჰორტუ. „ბესა“. 23.45
დანია – შვედეთი

დანიელებს მას შემდეგ არ მოუგიათ ჯილდო, რაც 1992 წელს ევროპის ჩემპიონატზე სასწაული მოახდინეს. შვედეთში იუგოსლავიის ნაცვლად ჩასული გუნდი ფინალში გაძვრა და ოქროს დაეპატრონა.

აქვე გავიხსენოთ, რომ გასულ მუნდიალზე, აზიაში, „ვიკინგებმა“ ჯგუფში პირველი ადგილი დიკავეს. მათ სენეგალს, ურუგვაის და თვით საფრანგეთს აჯობეს, თუმც მერვედფინალში ინგლისელებთან 0:3 წააგეს.

ამ მარცხმა, სპეციალისტების აზრით, დანიელთა სუსტი წერტილები გამოააშკარავა. ფიზიკურად ძლიერ ცენტრალურ მცველებს სისწრაფე აკლდათ და ოუენის დარ ფორვარდის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. გარდა ამისა, კარის ხაზზე საიმედოდ მოთამაშე თომას სორენსენი გამოსვლისას სცოდავდა.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რადიკალურად არაფერი შეცვლილა. სორენსენი კვლავ „ვიკინგთა“ პირველი მეკარეა და ევრო 2004-ზეც ის ითამაშებს. 2002 წლის მუნდიალამდე პიტერ შმეიხელის ჩრდილში მყოფი, „სანდერლენდში“ გატარებული ხუთი სეზონის შემდეგ 2003-ში „ასტონ ვილაში“ გადავიდა.

ცენტრალური მცველი რენე ჰენრიკსენი, რომელიც პროფესიონალი ფეხბურთელი 1999 წელს გახდა, ახლა 34 წლისაა და სახელი „პანათინაიკოსში“ გაითქვა. იგი ბერძნული გუნდისა და ეროვნული ნაკრების კაპიტანია.

დანიელი ჟურნალისტები ჰენრიკსენს პოზიციურ თამაშს და განსწავლულობას უქებენ, მაგრამ სისწრაფეს უწუნებენ. მორტენ ოლსენი მის მხარდამხარ მილანელ მარტინ ლაურსენს ათამაშებს, რომელიც საჰაერო ბრძოლებში ძლიერია, თუმც სპრინტერული მონაცემებით არ გამოირჩევა.

დანია მეტად ტექნიკურ და საამო, არასკანდინავიურ ფეხბურთს თამაშობს. შეტევაში „ვიკინგებს“ მრავლად შემსრულებელი ჰყავთ. ფლანგებზე იესპერ გრონკიაერი დ დენის რომედალი, წინ იონ დალ ტომასონი და ებე სანდი, რომლებსაც ზურგს მარტინ იორგენსენი უმაგრებს. ამ ხუთეულს „ევერტონის“ გიჟმაჟ ტომას გრავესენსაც თუ მივუმატებთ, საკმაოდ შთამბეჭდავი სურათი გამოვა.

„მე მსურს, რომ გუნდმა კომბინაციური ფეხბურთი აჩვენოს. ესაა ჩემი მთავარი მოთხოვნა. ინდივიდუალურად ძლიერ ფეხბურთელებს სრული თავისუფლება აქვთ დროსა და სივრცეში თავისი ნიჭის გამოსამჟღავნებლად“ — განუცხადა მორტენ ოლსენმა გერმანულ „კიკერს“ შარშან დეკემბერში.

ევრო 2000-ზე დანიამ ჯგუფში სამივე თამაში წააგო და ბო იოჰანსონის გადადგომის მერე გუნდი ოლსენმა ჩაიბარა. საპორტუგალიო შესარჩევ ტურნირში ვიკინგები მხოლოდ ერთხელ, შინ ბოსნიასთან დამარცხდნენ და 19-მატჩიანი უძლეველი სვლა შეწყვიტეს.

მედიამ მწვრთნელის მოხსნაც კი მოითხოვა, მაგრამ გამოცდილი ოლსენის სკამი ვერ შეარყიეს. ევრო 2004-ისთვის მოსამზადებელ მატჩებში „ვიკინგებმა“ ინგლისი და თურქეთი სტუმრად დაამარცხეს, ხოლო ხიხონში ესპანელებთან წააგეს. ბოლოს, ერთი კვირის წინ ტალინში ესტონელებს ესტუმრნენ და დაუზავდნენ.

მეკარეები

1 თომას სორენსენი ------ ასტონ ვილა, ინგლისი
16 პეტერ სკოვ-იენსენი -- მიდტიულანდი
22 სტეფან ანდერსენი ---- აკადემისკი, კოპენჰაგენი

მცველები

2 კასპერ ბოგელუნდი --- პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია
3 რენე ჰენრიკსენი ------ პანათინაიკოსი, საბერძნეთი
4 მარტინ ლაურსენი ---- ასტონ ვილა, ინგლისი
5 ნიკლას იენსენი ------- დორტმუნდი, გერმანია
6 თომას ჰელვეგი ---------- ინტერი, იტალია
13 პერ კროლდრუპი ---------- უდინეზე, იტალია
18 ბრაიან პრისკე ---------- გენკი, ბელგია

ნახევარმცველები

7 თომას გრავესენი ----- ევერტონი, ინგლისი
8 იესპერ გრონკიაერი -- ჩელსი, ინგლისი
10 მარტინ იორგენსენი უდინეზე, იტალია
12 თომას კალენბერგი - ბრონდბიუ, კოპენჰაგენი
14 კლაუს იენსენი ---------- ჩარლტონი, ინგლისი
15 დანიელ იენსენი ---------- მურსია, ესპანეთი
17 კრისტიან პოულსენი ---------- შალკე, გერმანია
19 დენის რომედალი ---------- პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია

თავდამსხმელები

9 იონ დალ ტომასონი --- მილანი, იტალია
11 ებე სანდი ---------- შალკე, გერმანია
20 კენეტ პერესი -------- ალკმაარი, ჰოლანდია
21 პეტერ მადსენი ------ ბოხუმი, გერმანია
23 პეტერ ლოვენკრანდსი ---------- რეინჯერსი, შოტლანდია

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

მარტინ იორგენსენმა (№10) და დანიამ ამხანაგურ მატჩში თვით ინგლისიც წააქციეს

დანიის დაცვაზე მარტინ ლაურსენიც (№4) ზრუნავს

გზა პორტუგალიამდე

II შესარჩევი ჯგუფი

07.09.2002 ---------- ნორვეგია 2:2 დანია
12.10.2002 ---------- დანია 2:0 ლუქსემბურგი
29.03.2003 ---------- რუმინეთი 2:5 დანია
02.04.2003 ---------- დანია 0:2 ბოსნია
07.06.2003 ---------- დანია 1:0 ნორვეგია
11.06.2003 ---------- ლუქსემბურგი 0:2 დანია
10.09.2003 ---------- დანია 2:2 რუმინეთი
11.10.2003 ---------- ბოსნია 1:1 დანია

საბოლოო ცხრილი

დანია	8	4	3	1	15:9	15
ნორვეგია	8	4	2	2	9:5	14
რუმინეთი	8	4	2	2	21:9	14
ბოსნია	8	4	1	3	7:8	13
ლუქსემბურგი	8	0	0	8	0:21	0

ევრო-2004. C ჯგუფი: იტალია, დანია შვედეთი, ბულგარეთი

მწვრთნელი



მორტენ ოლსენი

კაცი, რომელიც ბუცებში დაბერდა

ევროპის ჩემპიონატზე მონაწილე მწვრთნელთაგან ბევრი ვერ დაიკვეხნის მოთამაშისა თუ მწვრთნელის ისეთი ხანგრძლივი კარიერით, მორტენ ოლსენს რომ ჰქონდა.

ეროვნულ გუნდში მისი დებიუტი 1970 წელს შედგა, როცა ევროპაში დანიას საფეხბურთო ქვეყნად არავინ მიიჩნევდა.

მას შემდეგ ნაკრების მაისურა 102-ჯერ მოირგო. ბოლოს 1989-ში, დანიის ფეხბურთის ფედერაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ამხანაგურ მატჩში ბრაზილიის წინააღმდეგ ითამაშა და შეხვედრა „ვიკინგთა“ გამარჯვებით, 4:0 დასრულდა.

ოლსენის სანაკრებო 19-წლიანი კარიერის მანძილზე დანია გაიზარდა. 1984-ში საფრანგეთში ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში გავიდა და ესპანეთთან დამარცხდა. თავად ოლსენი სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. ორი წლის შემდეგ „ვიკინგები“ მექსიკაში გამართულ მუნდიალზე მოხვდნენ, ხოლო 1992-ში ევროპული ოქრო დაისაკუთრეს.

მექსიკაში მიქაელ ლაუდრუპისა და პრებენ ელკიაერ ლარსენით დამშვენებული დანია მერვედფინალში ისევ ესპანეთმა დაჩაგრა. მაშინ მორტენ ოლსენი 36 წლის იყო. 1989 წელს 40-ს მიღწეული გერმანულ „კიოლნში“ თამაშობდა და ბუცები სწორედ იმ სეზონის ბოლოს ჩამოკიდა.

მან მწვრთნელობა „ბრონდბიუში“ დაიწყო. გუნდი ზედიზედ ორჯერ ჩემპიონი გახდა, 1991 წელს უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა. 1992-ში ოლსენი „ბრონდბიუდან“ წავიდა.

მოგვიანებით „კიოლნს“ და ამსტერდამის „აიაქსს“ თავკაცობდა, ხოლო დანია ბო იოჰანსონისგან ევრო 2000-ის შემდეგ ჩაიბარა.

მორტენ ოლსენის ხელში ნაკრები 4-3-3-ზე გადაეწყო. 54 წლის მწვრთნელი ამ სქემას ანიჭებს უპირატესობას. ებე სანდი ცენტრფორვარდია, იონ დალ ტომასონი მას ეხმარება, ფლანგებზე კი გრონკიაერი და დენის რომედალი დაჰქრიან. ოლსენის ცოდნამ განვლილ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაჭრა, როცა მისმა გუნდმა ფრანგებს 2:0 სძლია და ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა.

მილანში სათადარიგო, ნაკრებში სამაგალითო

იონ დალ ტომასონი

„მილანის“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად თამაშობს, მაგრამ თავისი ქვეყნის ნაკრებისთვის ერთ-ერთი მთავარი ფორვარდია.

როტერდამის „ფეიენოორდიდან“ „მილანში“ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ გადავიდა. შევჩენკო-ინძაგის წყვილთან კონკურენციაში დაიჩაგრა და მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უწევს, თუმც ინძაგის საამსეზონო ტრავმიანობის გამო ანჩელოტი გაცილებით ხშირად ათამაშებდა, ვიდრე შარშან.

„ახლა უკეთესად ვგრძნობ თავს სერია A-ში და გუნდშიც მაფასებენ“ — განუცხადა იტალიურ მედიას 27 წლის თავდამსხმელმა.

იონ დალ ტომასონმა 58 სანაკრებო მატჩში 27-ჯერ გაიტანა. გასული წლის ნოემბერში „ოლდ ტრეფორდზე“ ინგლისთან ამხანაგურ შეხვედრაში „ვიკინგებმა“ მისი გოლის წყალობით 3:2 იმარჯვეს. ასეთი შთამბეჭდავი სანაკრებო შედეგი კარლო ანჩელოტისთვის არგუმენტი მაინც არაა.

ეროვნულ გუნდში მისი დებიუტი 1997 წელს შედგა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ხორვატიის წინააღმდეგ, მაგრამ ტომასონს კიდევ ორი წელი დასჭირდა, ნაკრებში პირველი გოლი რომ გაეტანა. ეს უელსთან შეხვედრაში მოხდა.

1998-ის მუნდიალზე ბო იოჰანსონმა არ წაიყვანა, სადაც დანიამ მეოთხედფინალამდე მიაღწია. დალ ტომასონის ადგილი მოგვიანებით გამოჩნდა, როცა „ვიკინგთა მარგალიტები“, მიქაელ და ბრაიან ლაუდრუპები ნაკრებს ჩამოსცილდნენ.

იონ დალ ტომასონმა კარიერა 1994 წელს ჰოლანდიის „ჰერენვერნში“ დაიწყო და 1997-ში „ნიუკასლში“ გადავიდა. „კაჭკაჭების“ ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ერთი სეზონი იჯახირა, შემდეგ კი ჰოლანდიაში, ოღონდ როტერდამის „ფეიენოორდში“ დაბრუნდა და იქ ოთხი წელი დაჰყო. იონ დალ ტომასონისთვის ყველაზე ტკბილად მოსაგონარია 2002 წლის უეფას თასის ფინალი. მან დორტმუნდის „ბორუსიას“ გაუტანა და „ფეიენოორდმა“ თასი მოიგო, ხოლო მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე დანიელთა ხუთი გოლიდან ოთხი სწორედ „მილანის“ ფორვარდის ანგარიშზეა.

გულიანი უგოლო კაპიტანი



რენე ჰენრიკსენი

„ვიკინგთა“ კაპიტანი, 34 წლის რენე ჰენრიკსენი „პანათინაიკოსის“ დაცვის ბურჯია. მისი გარჯა ბერძნულ გუნდში დააფასეს და როგორც ნაკრებში, კაპიტნის სამკლავურს იქაც ატარებს. „პანათინაიკოსი“ შვიდწლიანი შესვენების შემდეგ ამ სეზონში ჩემპიონი გახდა.

ჰენრიკსენმა კარიერა „კოპენჰაგენში“ დაიწყო, ხოლო ეროვნული გუნდის მაისურით პირველად 1998-ში, 28 წლისა შეიმოსა. მას შემდეგ 60-ჯერ ითამაშა, თუმც გოლი არ გაუტანია.

„პანათინაიკოსში“ 1999 წელს გადაბარგდა და ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც უმალ დაიმკვიდრა ადგილი. 182 სანტიმეტრი სიმაღლის ღონიერი მცველი მეტოქეებს საჰაერო ბრძოლაში ჩაგრავს, პოზიციის შერჩევისას იშვიათად ცდება და კარგი პასითაც გამოირჩევა, ხშირად გუნდის კონტრიერიშების წამომწყებია.

ევრო 2000-ზე ჯგუფში წაგებულ სამივე მატჩში ითამაშა. დანიელებმა ერთიც ვერ გაიტანეს იმ შეხვედრებში, თავად კი რვა გოლი გაუშვეს, თუმც მწვრთნელს ჰენრიკსენზე აუგი არ დასცდენია.

მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე „ვიკინგებმა“ ოთხი მატჩი ითამაშეს და მან მოედანზე 360 წუთი შეუცვლელად დაჰყო.

მერვედფინალში ინგლისთან რენე ჰენრიკსენმა დანიას მეორედ უკაპიტნა, თუმც თავის აჩრდილსღა ჰგავდა, რაკი მაიკლ ოუენმა და ემილ ჰესკიმ მეტოქეს თავბრუ დაახვიეს და სამი უპასუხო გოლი გაუტანეს.

34 წლის მცველი სამკლავურს მას შემდეგ ატარებს და „ვიკინგებმა“ მისი კაპიტნობით პორტუგალიის საგზური მოიპოვეს. ეს ჩემპიონატი ჰენრიკსენისთვის ალბათ ბოლო დიდი შეჯიბრი იქნება.

დანიის გრენლანდიური ფრთა

იესპერ გრონკიაერი

ვინც ნახა, ალბათ დიდხანს არ დაავიწყდება გოლი, რომელიც იესპერ გრონკიაერმა „სტემფორდ ბრიჯზე“ „მონაკოს“ გაუტანა — მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოს კუთხესთან მისულმა ცაცით დარტყმული ბურთი ფლავიო რომას ზურგს უკან ჩაუშვა.

საკმაოდ ნიჭიერი ნახევარმცველი ერთ მატჩს ბრწყინვალედ თამაშობს, მეორეს კი მკრთალად. რომან აბრამოვიჩის ნაყიდი ახალი ფეხბურთელებით შექმნილი კონკურენციის მიუხედავად, „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაში უფრო მეტჯერ იყო, ვიდრე სათადარიგოებში, ხოლო დანიის ნაკრებისთვის უძვირფასესი მოთამაშეა.

„აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ — თქვა გრონკიაერმა — „ჩელსი“ დიდი გუნდია და მიხარია, რომ მისი წევრი ვარ“.

ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში „არსენალსა“ და „ჩელსის“ შორის სტუმრებმა პირველი ტაიმი 0:1 წააგეს. კლაუდიო რანიერიმ შესვენების შემდეგ მოედანზე გრონკიაერი შეუშვა. ფლანგზე დანიელის აქტიურობამ „არისტოკრატებს“ ორი გოლი მოუტანა და ნახევარფინალში ჩელსელები გავიდნენ.

„ის ბრწყინვალეა, აბსოლუტურად ბრწყინვალე“ — თქვა მაშინ ნამატჩევს კლაუდიო რანიერიმ.

26 წლის ნახევარმცველი პრემიერლიგაში 2000 წელს „აიაქსიდან“ 14 მილიონი დოლარის სანაცვლოდ გადავიდა. ეს ყველაზე დიდი თანხაა, რაც ოდესმე დანიელ ფეხბურთელში გადაუხდიათ. მას ორივე ფლანგზე ეხერხება თამაში და ამით გამორჩეული „არისტოკრატია“. თუმც მორტენ ოლსენის ნაკრებში ხშირად მარჯვენა ფლანგს იბარებს. ოლსენი და გრონკიაერი ერთმანეთს კარგად იცნობენ, რადგან მწვრთნელი და ფეხბურთელი „აიაქსში“ ერთად იყვნენ. აღსანიშნავია, რომ გრენლანდიაში დაბადებულ გრონკიაერს 44 სანაკრებო მატჩში მხოლოდ ოთხი გოლი გაუტანია.

სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

		12 ივნისი						
21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
		13 ივნისი						
21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64
		14 ივნისი						
21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
		15 ივნისი						
21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76
		16 ივნისი						
21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08
		17 ივნისი						
21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07
		18 ივნისი						
21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
		19 ივნისი						
21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		20 ივნისი						
23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		21 ივნისი						
23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
		22 ივნისი						
23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
		23 ივნისი						
23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავა	6401 ჯგ.მერ.ბავა
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,1	1,55	2,1
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

CROCO BOOKMAKERS
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელეკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%
შესაძლო
ცვლილებები
ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია C1/A. პლეი-ოფი						
		6 ივნისი						
19.30	038	ლუმეცანე-ლუკეზე	1,85	2,7	4,6	1,09	1,31	1,7
19.30	039	ჩეზენა-რიმინი	1,8	2,6	5,0	1,06	1,32	1,71
		იტალია. სერია C1/A. პლეი-აუტი						
		6 ივნისი						
19.30	040	პრო პატრია-პრატო	1,95	2,6	4,4	1,11	1,35	1,63
19.30	041	რევანა-ვარეზე	1,8	2,6	5,0	1,06	1,32	1,71
		იტალია. სერია C1/B. პლეი-ოფი						
		6 ივნისი						
19.30	042	კროტონე-ბენევენტო	1,7	2,7	6,0	1,04	1,32	1,86
19.30	043	ვიტერბეზე-აკირეალე	1,9	2,6	4,6	1,09	1,34	1,66
		იტალია. სერია C1/B. პლეი-აუტი						
		6 ივნისი						
19.30	044	ფერმანა-ტარანტო	1,85	2,7	4,6	1,09	1,31	1,7
19.30	045	პეზარო-პატერნო	1,75	2,6	5,6	1,04	1,33	1,77
		ესპანეთი. II დივიზიონი. XXXX ტური						
		5 ივნისი						
21.30	048	სიუდადი-ხეტაფე	2,8	2,5	2,7	1,32	1,37	1,29
21.30	049	სერესი-ლევანტე	2,9	2,6	2,5	1,37	1,34	1,27
21.30	050	ტერასა-სალამანკა	2,3	2,3	3,6	1,15	1,4	1,4
22.30	051	ეიბარი-მალაგა ბ	2,1	2,5	3,6	1,14	1,32	1,47
23.00	052	ეხიდო-ლას პალმასი	1,7	2,8	4,6	1,05	1,24	1,74
		6 ივნისი						
15.00	053	ნუმანსია-ალავესი	2,3	2,5	3,4	1,19	1,37	1,44
15.00	054	ლეგანესი-ალხესირასი	1,15	3,5	8,0	1	1	2,43
23.00	055	ელჩე-უელვა	2,2	2,6	3,5	1,19	1,35	1,49
23.00	056	რაიო-კორდობა	2,3	2,6	3,3	1,22	1,35	1,45
22.00	057	სპორტინგი-კადისი	1,55	3,2	5,0	1,04	1,18	1,95
22.00	058	ტენერიფე-ალმერია	2,05	2,5	4,0	1,12	1,35	1,53
		შვედეთი. სუპერეტა. VIII ტური						
		5 ივნისი						
19.00	101	ფრიოლუნდა-ნორჩიოპინგი	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
19.00	102	ენჩიოპინგი-ატვიდაბერგი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
19.00	103	ფალკენბერგი-გეფლე	3,4	3,3	1,9	1,67	1,21	1,2
		6 ივნისი						
18.00	104	ფრისკა-ვესტეროსი	3,4	3,3	1,9	1,67	1,21	1,2
19.00	105	იოსტერსი-ბოდენსი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
20.00	106	ოპერა-ვაის	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
20.10	107	ბრომაპოიკარნა-ასირისკა	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
		ნორვეგია. ტიპელიგა. X ტური						
		6 ივნისი						
21.00	119	ფრედრიკსტადი-ლინი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38
21.00	120	რუსენბორგი-ჰამარი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
21.00	121	მოლდე-სოგნდალი	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
21.00	122	ვოლერენგა-ოდ გრენლანდი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
21.00	123	ბრანი-ტრომსიო	2,15	3,3	3,0	1,3	1,25	1,57
23.15	124	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	2,0	3,3	3,3	1,24	1,24	1,65
		7 ივნისი						
22.00	125	ლილესტრიომი-სტაბეკი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
		ნორვეგია. I დივიზიონი. X ტური						
		6 ივნისი						
21.00	138	ბრინი-კონგსვინგერი	2,05	3,6	2,8	1,3	1,18	1,57
21.00	139	ჰიოდი-პორს გრენლანდი	1,75	3,6	3,5	1,17	1,16	1,77
21.00	140	მანდალი-მოსი	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52
21.00	141	რაუფოსი-სკეიდი	2,4	3,5	2,35	1,42	1,18	1,4
21.00	142	სანდეფიორდი-ალესუნდი	2,45	3,5	2,3	1,44	1,18	1,38
21.00	143	სტარტი-ჰიონეფოსი	1,4	4,2	5,0	1,04	1,13	2,47
21.00	144	ტრომსდალენი-სტრიომსგოდსეტი	3,2	3,6	1,85	1,69	1,17	1,22
21.00	145	ვარდ ჰაუგესუნდი-ჰაუგესუნდი	3,1	3,6	1,9	1,66	1,17	1,24
		ირლანდია. პრემიერლიგა. XIV ტური						
		4 ივნისი						
23.45	181	ბოპემიანი-დერი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
23.45	182	კორკი-სტ.პატრიკსი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
23.00	183	შემროკი-დროგედა	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
23.30	184	ლონგფორდი-უოტერფორდი	2,2	3,1	3,0	1,28	1,26	1,52
		სლოვაკეთი. I ლიგა. XXXV ტური						
		5 ივნისი						
20.30	206	ინტერი-ტრნავა	2,3	3,0	2,8	1,3	1,26	1,44
20.30	207	ტრენჩინი-პეტრუალკა	1,7	3,2	4,4	1,11	1,22	1,85
20.30	208	რუუომბეროკი-ბ.ბისტრიცა	3,0	3,2	2,05	1,54	1,21	1,24
20.30	209	ჰუხოვი-დუბნიცა	2,0	3,1	3,3	1,21	1,24	1,59
20.30	210	ჟილინა-სლოვანი	1,1	5,0	10,0	1	1	3,33
		აშშ. MLS. X ტური						
		5 ივნისი						
01.00	229	ჩიკაგო-ვაშინგტონი	2,0	3,0	3,5	1,2	1,27	1,61
04.30	230	ნიუ იორკი-დალასი	1,8	3,1	4,0	1,13	1,24	1,74
07.00	231	ლოს ანჯელესი-კანზასი	1,7	3,2	4,6	1,11	1,24	1,88
		6 ივნისი						
01.00	232	ნიუ ინგლენდი-კოლამბუსი	2,35	3,0	2,8	1,31	1,27	1,44
		ევროპის ჩემპიონატი. 21 წლამდე						
		5 ივნისი						
21.15	241	შვედეთი(21)-სერბია(21)	2,2	3,1	3,0	1,28	1,26	1,52
23.45	242	იტალია(21)-პორტუგალია(21)	2,2	3,1	3,0	1,28	1,26	1,52
		მჩ შესარჩევი მატჩები (ს.ამერიკა)						
		5 ივნისი						
02.00	255	ეკვადორი-ბოლივია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
		6 ივნისი						
23.00	256	არგენტინა-პარაგვაი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
01.00	257	პერუ-ვენესუელა	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95
03.00	258	კოლუმბია-ურუგვაი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
06.30	259	ჩილე-ბრაზილია	4,0	3,1	1,9	1,74	1,28	1,17
		ამხანაგური მატჩები						
		5 ივნისი						
19.00	293	ინგლისი-ისლანდია	1,22	4,6	10,0	1	1,08	3,15
20.00	294	დანია-ხორვატია	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
21.30	295	შვედეთი-პოლონეთი	1,6	3,3	5,3	1,07	1,22	2,03
23.00	296	ჰოლანდია-ირლანდია	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
23.45	297	პორტუგალია-ლიტვა	1,12	6,0	12,0	1	1,02	4
00.30	298	ესპანეთი-ანდორა	1,01	8,0	30,0	1	1	6,31
		6 ივნისი						
19.00	299	ლატვია-აზერბაიჯანი	1,2	4,6	9,0	1	1,05	3,04
19.15	301	შვეიცარია-ლიხტენშტაინი	1,02	8,0	25,0	1	1	6,06
20.15	302	ჩეხეთი-ესტონეთი	1,15	5,3	12,0	1	1,04	3,67
22.00	303	გერმანია-უნგრეთი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
23.45	304	საფრანგეთი-უკრაინა	1,35	3,8	8,0	1	1,15	2,57
		კალათბურთი. იტალია						
		5 ივნისი						
18.30	1103	სიენა-სკიპერი	1,2	10,0	3,3	1,07	1	2,48
		კალათბურთი. ესპანეთი						
		5 ივნისი						
23:00	1112	ბარსელონა-ესტუდიანტესი	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
		კალათბურთი. NBA						
		6 ივნისი						
05.00	1135	ლეიკერსი-დეტროიტი	1,15	10,0	4,0	1,03	1	2,85

ქართველები ათენში

ATHENS 2004

ათენის ოლიმპიადაზე ხუთჯვრიან დროშას 30 სპორტსმენი წარადგენს. საქართველოს გუნდში გამორჩეული ადგილი უჭავია სიდნეის თამაშების პრიზიორს, მსოფლიოს ჩემპიონსა და სამგზის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენს გიორგი ასანიძეს და თქვენი ნებართვით ქართველ ოლიმპიელთა წარდგენაც მისით დავიწყოთ

ძალა და აღმართები

გიორგი ასანიძე ათენისთვის ათენ-აღამებს

საჩხერედან თბილისში სავარჯიშოდ ჩამოსულ 16 წლის ჭაბუკს კოჭებში ვარსკვლავობისა არაფერი ეტყობოდა. ფიზკულტურის აკადემიაში მისაღებ გამოცდებზეც არ გაუმართლა. გიორგი ასანიძეს მაშინ თითქმის არავინ იცნობდა. იმ უკუღმართ წლებში ტიტულები არ ჩანდა, ოლიმპიადა ძალიან ღრმად შემალული ოცნება იყო და ხალხის საფიქრალი საყოფაცხოვრებო პრობლემებს იქით ძლივს მიდიოდა. კახი კახიაშვილის გამზრდელმა ვანო გრიქუროვმა ამ ბიჭში სულით სპორტსმენი დაინახა და მისი ჟინით აღფრთოვანებულმა დიდი ძალისხმობისკენ გაუხსნა გზა. ცხოვრებისეული გაჭირვებები, დისკვალიფიკაცია და ტრავმა მოგონებებად დარჩა. პრობლემები უკანაა. ახლა გიორგი ასანიძე პოლონეთშია და თავის მასწავლებელთან ვანო გრიქუროვთან ათენისთვის ემზადება. გრიქუროვი მასში ძველებურად დარწმუნებულია და ჩვენც დიდი იმედი გვაქვს, გიორგი ასანიძე ახალი დროშითაც მოუპოვებს საქართველოს ოლიმპიურ მედალს

გიორგი ასანიძე

დაიბადა 1975 წლის 30 აგვისტოს საჩხერის რაიონში.
წონა: 85კგ (ყოველდღიურიც და სპორტულიც)
სიმაღლე: 173 სმ
ოჯახი: მეუღლე თეა კოტუა; შვილები მარიამი (7 წლის), კახი (4 წლის), ტყუპები — სალი და საბა (1 წლის)

შედეგები

1998 ევროპის ჩემპიონატი (რიესა, გერმანია) — ვერცხლი
მსოფლიოს ჩემპიონატი (ლაჰტი, ფინეთი) — რეკორდი
2000 ევროპის ჩემპიონატი (სოფია, ბულგარეთი) — ოქრო, მსოფლიო რეკორდი
ოლიმპიადა (სიდნეი, ავსტრალია) — ბრინჯაო
2001 ევროპის ჩემპიონატი (ტრენჩინი, სლოვაკეთი) — ოქრო
მსოფლიოს ჩემპიონატი (ანთალია, თურქეთი) — ოქრო
2002 ევროპის ჩემპიონატი (ანთალია, თურქეთი) — ოქრო
მსოფლიოს ჩემპიონატი (ვარშავა, პოლონეთი) — ვერცხლი

— ძალოსნობის სექციაზე პირველად 10 წლისა მივედი. არჩევანი კრივსა და ძალოსნობას შორის გავაკეთე. კრივს უფროსი ძმა მისდევდა და უნდოდა თავის გზაზე დავეყენებინე, მაგრამ მე შუათანა ძმის გატაცება უფრო მომწონდა. ვარჯიში დაწყებული არც მქონდა და ძალოსნობა უკვე მიყვარდა. დარბაზი სახლიდან ოცდახუთიოდ მეტრში იყო და იქედან გამოსულ ჟრიამულს ბევრჯერ მოვუყვანივარ აღტაცებაში.

— ვინ იყო შენი პირველი მწვრთნელი?

— პირველი ექვსი წელი გოგი თოდაძემ მავარჯიშა და ეს საქმე კიდევ უფრო შემაყვარა. საქართველოს ჩემპიონიც გავხდი ჩემს ასაკში, მაგრამ რაიონში დარჩენა მეტად ვეღარ გამზრდიდა. თოდაძემ საუკეთესო სპეციალისტ ვანო გრიქუროვთან თბილისში წამოსვლა მირჩია და მეც წამოვედი.

— გრიქუროვმა როგორ მიგიღო?

— განსაკუთრებული მონაცემებით გამორჩეული სულაც არ ვყოფილვარ. ვერავინ იტყოდა, ოდესმე დიდ გამარჯვებებს მიაღწევსო, მაგრამ ერთადერთი, რითაც მართლა გამოვირჩეოდი, მონდომება იყო. გრიქუროვთან ვარჯიში ბევრს სურდა და, ცხადია, ყველას არ უსრულდებოდა სურვილი. მე ამიყვანა, რადგან სპორტული ჟინი შემამჩნია და ეს დამატებითი სტიმული იყო.

— თუ გახსოვს, შენზე პირველმა ვინ თქვა, ეს ბიჭი მომავალი ჩემპიონიაო?

— ალბათ ვანო გრიქუროვმა. საკუთარ ძალაში მან დამარწმუნა. დიდ გამარჯვებებზე, ცხადია, მანამდეც მოვასწარი ოცნება, კერძოდ 1988 წელს, პირველი ტრავმა რომ მივიღე.

— ჩამოხვედი თბილისში და ჩაბარე სპორტის აკადემიაში...

— პირველ წელს ჩავიჭერი. იმ დონის სპორტსმენი არ ვიყავი, რომ იქ უპრობლემოდ მოვხვედრილიყავი. მართალია, დიდი პროფესიული წარმატებებით ვერც მეორე წელს დავიკვეხნიდი, მაგრამ ბარსელონის ოლიმპიადაზე კახი კახიაშვილის გამარჯვება პატარა ძალოსნებსაც სასიკეთოდ წაგვადგა. სახელმწიფომ სპორტის ამ სახეობას ცოტა მეტი ყურადღება მიაქცია და მცირედით ეს მეც შემეხო.

— წარმატებებს წლები დასჭირდა, მანამდე კი საკმაოდ გიჭირდა. ადრეც გითქვამს, ყველაზე ძნელი სტუდენტობა ცხოვრების პირველი წლები იყო.

— ფიზკულტურის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში 12 წელი გავატარე, 10-12 კვადრატულ მეტრიან ოთახში. არეული დრო იყო და როგორც უმეტესობას, მეც ძალიან მიჭირდა. ვარჯიშებზე ხშირად მშიერი დავდიოდი, მაგრამ ის პერიოდი მაინც ტკბილად მახსენდება. ჩემს დღეში იყვნენ საერთო საცხოვრებელში დაბინავებული დიდი სპორტსმენები ელდარ კურტანიძე, ალექსი დავითაშვილი და სხვები. ერთმანეთის შეხედვარეებს უკეთესი მომავლის რწმენა გვემატებოდა.

— გაჭირვების ჟამს საკუთარი თავისთვის თუ გითქვამს, მორჩა, აქტიურ სპორტს უნდა შევეშვაო...

— ეს სიტყვები ცივ გონებაზეც კი არასოდეს დამცდენია. რადაც უნდა დამჯდომოდა, იმ მიზნისთვის, უნდა მიმეღწია, რომელიც დავისახე. 29 წლის ვარ და კარიერის დასრულებაზე ფიქრიც არ მინდა. სპორტში ალბათ დიდხანს დავრჩები.

— ბინის პრობლემა არად ჩააგდე და დაოჯახდი. მეუღლე სად გაიცანი?

— 1993 წელს, ბორჯომში შეკრებისას. თეა ოჯახთან ერთად ისვენებდა. მთელი ორი წელი მოვუნდით ერთმანეთთან შეჩვევას, მერე კი დაოჯახებაც გადავწყვიტეთ. მატერიალურად არ მილხინდა, მაგრამ წინააღმდეგობა მაინც არ შემხვედრია. პატარა ოთახი კიდევ უფრო დაპატარავდა, გაფართოება კი ვერაფრით მოვახერხეთ. ბინაზე 7 წელი ვოცნებობდით. მარიამი და კახი საერთო საცხოვრებელში დაიბადნენ.

— ვაჟს სახელი კახიაშვილის პატივსაცემად ხომ არ დაარქვი?

— დიდი კახი ჩემი ბიჭის ნათლიაა. სახელსაც ადრევე ვიყავი დაპირებული.

— შენს ბინაში „მივბრუნდეთ". დიდხანს გპირდებოდნენ?

— რამდენიმე წელი. სიმართლე გითხრა, თავიდან ვერც ვთხოულობდი. რაიმე დიდი წარმატებისთვის უნდა მიმეღწია, საამისო პრეტენზია რომ მქონოდა. 1997 წლიდან კი ისე აირია ყველაფერი, ის ოთახიც სანატრელი გამიხდა. ვანო გრიქუროვი პოლონეთში წავიდა, კახიაშვილი საბერძნეთში და მიზნის მიღწევაც გაძნელდა. იძულებული გავხდი, მეც პოლონეთში ჩავსულიყავი სავარჯიშოდ. პირველი 7-თვიანი ვიზიტი ჩემთვის ურთულესი იყო. საქართველოს და ოჯახის მონატრებას ისიც ემატებოდა, რომ საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლა თავიდანვე გამოვრიცხეთ. გრიქუროვმა მითხრა, ახლა ვარჯიში საუკეთესო არჩევანია და გამარჯვებები მომავალი წლიდან მოვაო.

— ასეც მოხდა.

— აღმასვლა 1998 წლიდან დაიწყო. ჯერ ევროპული ვერცხლი მოვიგე, შემდეგ კი ატაცში მსოფლიოს რეკორდი დავამყარე. ეს უდიდესი სიხარული იყო, მე ხომ პირველი ქართველი მოქმედი რეკორდსმენი გავხდი. ამის მერე ყოველი ღირსშესანიშნავი ტურნირის წინ 2-3 თვით ადრე ჩავდიოდი გრიქუროვთან. ვემზადებოდი და შედეგსაც ვაღწევდი.

— კახიაშვილის დარად, კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე არასოდეს დაფიქრებულხარ?

— უცხოური ვარიანტები მართლა ბლომად მქონდა. ყველაზე რეალური უკრაინაში, რუსეთში ან საბერძნეთში გადასვლა იყო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისგან ყოველთვის თავს ვიკავებდი. თან საერთაშორისო გამარჯვებების პარალელურად ნელ-ნელა ფინანსურადაც მოვძლიერდი და საქართველოდან წასვლაზე ფიქრი ერთხელ და სამუდამოდ ამოვიგდე თავიდან.

— ჯერ კიდევ კარიერის დასაწყისში დოპინგსკანდალში გაეხვიე და სამუდამო დისკვალიფიკაციით დაგსაჯეს. უსიამოვნო მომენტია, მაგრამ ხომ არ გაიხსენებდი?

— ეს იმხელა ტრაგედია იყო, გახსენებაც კი მიჭირს. სპორტსმენს თითოეულ ნაბიჯზე სიფრთხილე მართებს, მე კი გამოუცდელობამ დამღუპა. უნებურად დაშვებულ შეცდომაში ბრალი ნამდვილად მიმიძღოდა. საბედნიეროდ, სასჯელი 2 წლამდე შემიმცირეს და მაშინ დავიფიცე, რომ მსგავსი აღარასოდეს მოხდებოდა.

— არცთუ დიდი ხნის წინ პოლიტიკოსობაც მოინდომე. რამ გადაგაწყვეტინა?

— სიდნეის ოლიმპიადის მერე გამარჯვებებს მოვუხშირე და შემოთავაზებაც ალბათ ამიტომ მივიღე. იმ ნაბიჯს შეცდომად არც ახლა ვთვლი. მით უმეტეს, ისეთი ტრავმა მქონდა, კარიერის გაგრძელება სასწორზე იდო.

— როგორ ფიქრობ, კარგი პოლიტიკოსი იქნები?

— არა მგონია, გამიჭირდეს. სპორტული ჟინი და შეუპოვრობა იქაც გამომადგება. არ გამოვრიცხავ, ეს ნაბიჯი მომავალშიც გადავდგა.

— ისევ სპორტი. ფიცარნაგზე გასვლამდე თუ გქონია წინათგრძნობა, რომ მოიგებდი?

— რამდენჯერაც გინდა. ძალოსნობაში პროგნოზის გაკეთება იოლია: როცა საუკეთესო ფორმაში ვარ, წინასწარ შემიძლია ვთქვა შედეგი და იშვიათად თუ შევცდები. 2001-2002 წლებში ჩემს თავში ყველაზე მეტად ვიყავი დარწმუნებული.

— რამე თილისმაც ხომ არ გაქვს?

— არა, ეგ ცრურწმენაა.

— ძალოსნობის გარდა რომელი სპორტი გიყვარს?

— მგონი არ არსებობს სახეობა, თვალს რომ არ ვადევნებდე. ყველა მიყვარს. საერთოდ, სპორტის ფანი ვარ.

— შენ თუ თამაშობ რამეს?

— ბილიარდს. მშვენივრადაც გამომდის. ადრეული ახალგაზრდობიდან მიზიდავს ავტომობილებიც, მაგრამ პროფესია მსხვერპლს მოითხოვს. ძალოსნობის გარდა ბოლო დროს ყველაფერი დავივიწყე.

— პოლონეთში როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

— თავისუფალი დრო საერთოდ არ მაქვს, როცა არ ვვარჯიშობ, სასტუმროს ნომერში ვისვენებ. მოკლედ, „კოლონიაში" ვარ, გამოსასწორებლად. შევძლებ თუ ვერა ფორმის აღდგენას, აგვისტოში გამოჩნდება.

— ათენში ვის თვლი მთავარ კონკურენტად?

— ალბათ პიროს დიმასს. რაც უნდა იყოს, საკუთარ კედლებშია.

— ძალოსნობაში გულშემატკივრობას დიდი მნიშვნელობა აქვს?

— ამ სპორტს სიჩუმე უყვარს და შეძახილებიც, პირიქით, ხელს ვიშლის, თორემ დარბაზი რომ შენი ქომაგებითაა გადაჭედილი, აბა, ამას რა სჯობს.

— ალალად თქვი, შეძლებ წელიწადნახევრიანი ტრავმის შემდეგ ძველი ფორმის დაბრუნებას?

— ეგ რომ არ მწამდეს, პოლონეთში არც ჩამოვიდოდი. თან გრიქუროვიც დარწმუნებულია. ყველამ იცის, ეს კაცი სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის.



ოთარ მაღლაკელიძე

არ უნდა გეჭამა!

დიდი ჯიმი ჩასვეს

ჩრდილოკორეელი ჯიმ ირ-სენი ხომ გახსოვთ? მთელი ეს კომუნიზმში უიმედოდ ჩარჩენილი ქვეყანა ახლაც რომ მისი იდეოლოგიით ხელმძღვანელობს. კორეელთა სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ (გაარჩია, ვისთვის როგორ. გემოვნების საკითხია) ეს ერთადერთი ჯიმი არ გახლავთ, ვისაც დიდი გავლენა მოუხდენია კორეელ ხალხზე.

თუ ჩრდილოკორეელთათვის ჯიმ ირ-სენი დიდი ბელადია, სამხრეთკორეელთათვის ასეთი ჯიმ იუნ-იონგია, ოღონდ მხოლოდ სპორტის ამბებში. ამ კაცის ბიოგრაფიას თუ გადაიკითხავთ, თურმე არც პოლიტიკა ყოფილა მისთვის უცხო ხილი. ოდესღაც კორეის პრემიერ-მინისტრის მდივნად უმუშავია, ნიუ იორკში გაეროს მისიაშიც მოუსინჯავს გონებრივი ძალები და არც ვაშინგტონსა თუ ლონდონში დაზარებია საქალაქლდეების თრევა, როცა ამ ქალაქებში კორეის საელჩოს ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო

თუმცა კიმის კარიერის აღმასვლა სპორტს უკავშირდება და ამ სფეროში პირველ წარმატებას მან 1978 წელს მიაღწია, როცა სეულისთვის ტყვიის სროლაში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების უფლება მოიპოვა. კიმ იუნ-იონგმა ამით დაიწყო და შორსაც წავიდა. მისი უდიდესი დამსახურება კორეელი ხალხისადმი ის გახლავთ, რომ მისი უშუალო მეცადინეობით 1988 წლის ოლიმპიური თამაშები ამ ქვეყანაში ჩატარდა. სეულის ოლიმპიადამ ბევრი რამ მოუტანა სახელმწიფოს, რომელიც დღეისთვის ერთ-ერთი მოწინავეა აზიაში და თითქმის იაპონიის მხარდამხარ მიიწევს განვითარების დაუსრულებელ კიბეზე.

კიმ იუნ-იონგი წლების განმავლობაში ხუან-ანტონიო სამარანჩის შემდეგ მეორე კაცი იყო საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში და მის შემცვლელადაც მოიაზრებოდა პრეზიდენტის პოსტზე, თუმცა 2001 წლის არჩევნებზე მას ჟაკ როგმა აჯობა და პოსტიც კორეელმა კი არა, ბელგიელმა დაიკავა.

იონგის დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ კორეული საბრძოლო ხელოვნება ტაეკვონდო მსოფლიო გაქანების სახეობად აქცია.

ამას წინათ კი მის კარიერას წერტილი დაესვა. 73 წლის კორეელი ფუნქციონერი ფინანსური მაქინაციებისთვის ამ ქვეყნის სასამართლოს წინაშე წარსდგა და ამ ორიოდ დღის წინ გამოტანილი განაჩენის მიხედვით 2,5 წელიწადს გისოსებს მიღმა გაატარებს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი უკვე გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ის აღარც ტაეკვონდოს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტია. სწორედ ამ ფედერაციის კუთვნილი 3,3 მილიონი დოლარის გაფლანგვა ედება ბრალად, აგრეთვე გადასახადების დამალვა და კიდევ რამდენიმე უკანონო ფინანსური ოპერაცია.

მოსამართლემ განაჩენის კითხვას 10 წუთი მოანდომა და კიმს 2,5-წლიანი პატიმრობა აკმარა ნაცვლად 7-წლიანისა, რომელსაც ბრალმდებელნი ითხოვდნენ.

მოსამართლის სიტყვიდან დაახლოებით ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა — ასე ცოტა იმიტომ გაკმარეთ, რომ კორეული სპორტის განვითარებაში დიდი წვლილი მიგიძღვითო.

კიმის ადვოკატი გასაჩივრებით იმუქრება და აცხადებს, რომ მისი კლიენტი ზედმეტად მკაცრად დაისაჯა, თუმცა საეჭვოა, სასამართლომ განაჩენი შეცვალოს.

ლადო ფულუკიძე



ახლა გვიანია თითზე კბენა და ნიანგის ცრემლების ღვრა. „დიდი“ კიმი იუნ-იონგი ორნახევარი წლით ვირის [illegible] გახეხავს

როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 13 263 280 €



REUTERS ბარი ზიდან

ეროვნულ ბიბლიოთეკა

გაუდიოს რეალიები

გასტონი გუსტავოზე მაღლა

მოაწოდე, მიეძალე

ლეგენდარული ამერიკელი მეჩოგნე ჯონ მაკინროი ახლა პარიზშია და გარდა იმისა, რომ ვეტერანთა ტურნირზე გამოდის, ერთ-ერთი ამერიკული არხისთვისაც კომენტატორობს. ჩვენი იქაური კოლეგები მას ტიმ ჰენმანის, მისებრ „მოაწოდე-მიეძალე“ ყაიდით მობურთავე ინგლისელის სანახევარფინალო შანსებზე დაეკითხნენ. შეგახსენებთ, რომ დახვეწილი კუნძულელი, ვინაც აქამომდელ რვა როლანგაროსობაზე მესამე წრეს ერთხელაც ვერ გასცდენოდა, ფინალის საგზურისთვის დღეს გილერმო კორიასთან იდავებს



REUTERS ბარი ზიდან

— გაკვირვებული ხართ თუ არა იმით, რომ ტიმ ჰენმანი პარიზულ თიხნარზე ასე საუცხოოდ თამაშობს?

— ეს პარიზში არ დაწყებულა, ტიმმა წლეულს თიხნარზე საერთოდაც რიგიანად იბურთავა. ამიტომაც ის აქ სხვებზე უფრო თავდაჯერებული იყო. ამას გარდა, მას შედარებით იოლი მეტოქეები შეხვდნენ... ისე კი, სხვა, უკანახაზიდან ერთფეროვნად მოგლაჯუნე მეჩოგნეების ფონზე მისი, ძალზედ განსხვავებული თამაშის ცქერა მართლაც სასიამოვნოა. ჩემი აზრით, ის ახლა კარიერის საუკეთესო ფორმაში უნდა იყოს.

— რას აკეთებს ის ისეთს, რასაც სხვა შემტევი მეჩოგნეები არ აკეთებენ?

— შემტევ მეჩოგნეებს ახლა თითზეც ჩამოთვლით... ტიმმა იცის, რომ მეთიხნარეებს ერთი კიდიდან მეორისკენ მოძრაობა ურჩევნიათ უკანახაზიდან ბადემდე მოძრაობას და ის ამით კარგად სარგებლობს.

— როგორ აფასებთ მის შანსებს კორიას წინააღმდეგ?

— მას დიდი შანსი არა აქვს, თუმცა კორია შემტევ მეჩოგნეებს ხშირად არ დაპირისპირებია და ამდენად ჰენმანი მისთვის უხერხული მეტოქე იქნება. თუკი ტიმი კორიას მოწოდებაზე ივარგებს, მაშინ მისი შანსები გაიზრდება. ჰალალად კი, ფინალში ალბათ მაინც კორია გავა.

ვთამაშობ, ესე იგი, მტკივა

ბრაზილიური სამბის რიტმებს როლანგაროსზე არგენტინული ტანგო ჩაენაცვლა — სამგზის ჩემპიონ გუსტავო კუერტენის ხელახლა აბობოქრებული საჩემპიონო ამბიციები არმენოარგენტინელმა დავიდ ნალბანდიანმა ჩააცხრო.

მატჩის შემდეგ გუგამ თქვა, რომ 2002 წლის დასაწყისში ნაოპერაციევი ბარძაყი მას დღემდე აწუხებს, მაგრამ ამას მის მარცხთან არავითარი კავშირი არა აქვს.

„ჰო, ტკივილი ალბათ მანამ არ გამივლის, სანამ ჩოგანს არ ჩამოვკიდებ, მაგრამ დავიდს ამის გამო არ მოუგია. მართალია, ბარძაყი მაწუხებდა, მაგრამ რიგიანად თამაშს მაინც ვახერხებდი და ფედერერსაც სწორედ მტკივანი ბარძაყით ვძლიე. ოღონდ ასე დაუსრულებლად ვერ გაგრძელდება. ჩემი თამაში მხოლოდ იმ შემთხვევაში განვითარდება, თუკი ჯერ კვირების, მერე კი თვეების განმავლობაშიც შემეძლება თამაში ტკივილის გარეშე. თუმცა როდის იქნება ეს, წარმოდგენა არა მაქვს, მანამდე კი თამაში ჩემთვის ნიშნავს ტკივილს.“

შეგახსენებთ, რომ თავის საზეო შედეგებს კუერტენმა სწორედ 2002 წლამდე ანუ ზემოთხსენებულ ოპერაციამდე მიაღწია — როლანგაროსობაც მან მაშინ, 1997, 2000 და 2001 წლებში მოიგო. მაშინვე იდგა ის რეიტინგსიის სათავეშიც.

ახლა გუგა 27 წლისაა და ისე ჩანს, თავისი მწარე ტვირთვის ზიდვა კარიერის ბოლომდე მოუწევს, ისევე, როგორც ეს მისდარად სახელიან და ტრავმოსან მეთიხნარეებს — მარსელო რიოსსა და სერხი ბრუგერას მოუხდათ.

მე ერთი უბრალო „ვალენსია“ ვარ

ორგზის სლემტიტულოსან ლეიტონ ჰიუიტს როლანგაროსულ მეოთხედფინალშიც კი აქამდე მხოლოდ ერთხელ ეთამაშა და ამიტომ იყო, მისი საიმკვირაო ჩაუქობის შემხედვარეთ იმედი რომ მოგვეცა, ეგებ ნახევარფინალამდეც გაივაკოს-ჩვენთქი.

იმედმოცემულთა სამწუხაროდ და სრულიად არგენტინის გასახარად გაუდიომ კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი არნახული თავდაჯერებულობით ჩაატარა და კისკას ოზბიჭს ფიორა შანსიც არ მისცა.

მილეთი განსაკუთრებით მოხიბლა მისმა ჩამოქნილმა ხელუკულმამ, რომლითაც მან ჰიუიტს მთელი შეხვედრა წაუმურდლა. ასეთი ხელუკულმა მართლაც არავის აქვსო, იძახდა ნამატჩევს ჰიუიტი და მერე იმას დასძენდა, თავს ისე კარგად იცავდა, შეტევის საშუალება არ მოუციაო.

მოკლედ — ჰიუიტი ისეთი საწყალობელი სანახავი იყო, როგორც ზრდასრულ ოსტატთან სასპარინგოდ გასული წვრილფეხა.

მსოფლიო რეიტინგსიის 44-ე საფეხურზე მდგომი გაუდიო ახლა ბავშვობის ოცნებისთვის ბრძოლას უფრორე აღმატებულ თვისტომთან, დავიდ ნალბანდიანთან განაგრძობს. როგორია მისი შანსები?

„ეგენი — ნალბანდიანი და კუერტენი „რეალივით“ არიან, „გალაქტიკოს“ და რამე. მე კი ერთი უბრალო „ვალენსია“ ვარ.“

ლევან კილაურაძე

ბადე კალათბურთის ფოტო

ბადე სახლში, ბატი ქვაბში

ლაშა ჯეშელავა თოფს ბურთზე არანაკლებ ისვრის

ორიოდ წლის წინ მას საშუალოებშიც არ თვლიდნენ, დღეს ის ჯალათიდან საკუთარი ხელით ჩამოჭრილ საჩემპიონო ბადეს სახლში ინახავს. ორიოდ წლის წინ ის უბრალო მოთამაშე იყო, მაგრამ არავისზე ნაკლები გულშემატკივარი არ ჰყოლია. ლაშა ჯეშელავას სიმპათიური გარეგნობის გამო მრავალი ქომაგი ჰყავდა გოგონათა შორის, დღეს კი მას კარგი თამაშის გამოც უკრავენ ტაშს და არა მხოლოდ გოგონები. წინა შაბათს „ჯეშამ" ყველა ვარსკვლავის შოუში სამქულიანების კონკურსი მოიგო, თუმც უფრო მნიშვნელოვანი ის სამქულიანებია, „ბასკოს" ჩემპიონობაში რომ დაეხმარა. ჯეშელავას ჩვენი ზარი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში მისწვდა – სწორედ იმ ალაგებში, სადაც იქაურები ხშირად ხედავენ მამამისთან ერთად თოფმომარჯვებულს და ბატებზე სანადიროდ გამოსულს...

— საიდან აღმოჩნდი კალათბურთში?

— თავიდან ჩოგბურთზე დავდიოდი. კარგადაც ვთამაშობდი, მაგრამ ჩემი მწვრთნელი რუსეთში წავიდა და უსაქმოდ დარჩენილმა მისმა შეგირდებმა კალათბურთში გადავინაცვლეთ. 5-6 ჩოგბურთელი თავიდან ბათუმის სპორტსკოლაში დავდიოდით, მერე კი, უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, საუნივერსიადო გუნდში ამიყვანეს.

— „ბასკოში" როგორ მოხვდი? შენ ხომ ამ კლუბში მისი დაარსებიდან თამაშობ.

— „ბასკოს" წინამორბედი იყო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, სადაც სტუდენტობისას ვთამაშობდი. ამ გუნდით ჯერ პირველ ლიგაში გადავედით და შემდეგ უმაღლესშიც მოვიპოვეთ ადგილი.

— „ბასკო" რომ უმაღლეს ლიგაში გადმოვიდა, საჩემპიონო შემადგენლობა შეკრა და შენი სათამაშო დრო შეიზღუდა...

— მაშინ „ბასკოში" ისეთი გამოცდილი მოთამაშეები მოვიდნენ, რომ ჩემი სათამაშო ნაღდად არ იყო. მწვრთნელს მოედანზე 2-3 წუთით შევყავდი...

— სკამზე ჯდომა წლობით გაგიგრძელდა. ხომ არ გიფიქრია, თამაშისთვის თავი დაგენებებინა?

— არა, პირიქით. რომ არ მათამაშებდნენ, ამით უფრო მეტი მოტივაცია მქონდა. ვიჯექი სკამზე და ვუყურებდი „ბასკოს" მოთამაშეებს, როგორ ესროდნენ, რას აკეთებდნენ... ძალიან მონდომებული და კიდევ უფრო მომთმენი ვიყავი. ხელი მაშინაც კი არ ჩამიქნევია, შარშანწინ პაველ გოგოემ „ქუთაისში" რომ გამანათხოვრა. ვთვლი, რომ ჩემი მონდომებით დავიმსახურე ადგილი „ბასკოს" ძირითადში.

— მოედანზე ყველაზე კარგად რა გეხერხება?

— რასაც მწვრთნელი მავალებს, თითქმის ყველაფერს ვართმევ თავს, მაგრამ განსაკუთრებით, სამქულიანების სროლა მიყვარს და ხშირადაც ვაგდებ.

— ბურთს ჰო, მაგრამ ტყვიას თუ ისვრი მიზანში?

— არ ვტრაბახობ — კარგი მონადირე ვარ. 5-6 წელია, მამაჩემთან ერთად აგერ, გურიაში, ჩემს დედულეთში სანადიროდ დავდივარ. ძირითადად სუფსაში ვნადირობთ ფრინველზე.

— ყველაზე დიდი რა მოგიკლავს?

— მსუქანი გარეული ბატი, მაგრამ ალბათ მალე მთაშიც ავალ და დათვსაც მოვინადირებ.

— შენ გოგონების გულებზე მონადირეც ხარ. შენს სანახავად თამაშებზე ისეთი გოგონებიც დადიან, რომელთაც კალათბურთი სულ არ აინტერესებთ...

— გულებზე მონადირე არ ვარ, რადგან მე არ დავდევ მათ, გოგოები თავად აქტიურობენ.

— ალბათ გაწუხებენ...

— რა ვიცი, ალბათ კი. ძალიან ბევრი მირეკავს, ყველას რომ დაველაპარაკო, არ გამოვა.



ბადეს ფოტო

ლაშა ჯეშელავას სამქულიანებმა „ბასკოს" ჩემპიონობა დაუბრუნა

— აბა, რას პასუხობ შენი გაცნობის მსურველ გოგოებს?

— საერთოდ, მე საკმაოდ რთული ხასიათი მაქვს. უმრავლესობას ვერ ვეწყობი, მეგობრობის იქით აღარ მივდივარ.

— აბა, რა გამოდის, მარტო უნდა იყო? უკვე 24 წლის ხარ.

— რატომ მარტო? შეყვარებული მყავს, რომელთანაც ყველაფერი რიგზე მაქვს. თბილისელი გოგოა, ბათუმში გავიცანი.

— ჩაცმას დიდ ყურადღებას აქცევ?

— ვცდილობ, მოხდენილად და სადად ჩავიცვა, ოღონდ თითქმის სულ ჯინსებსა და „ბოტასებში" ვარ გამოწყობილი. კოსტიუმი არასდროს მცმია და არც ჰალსტუხი მკეთებია. ახლა დიდი სურვილი მაქვს, კლასიკურად ჩავიცვა და ვინმე ახლობლის ქორწილს ველოდები.

— ქართულ კალათბურთში არის პრეცედენტი, მოთამაშე პოდიუმზე რომ წასულა...

— მივხვდი, რასაც მეკითხები — მოდელობაზე არც მიფიქრია და არც ვიფიქრებ. ისე, ჩემი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი მეხუმრება ხოლმე, გარეგნობა ხელს გიწყობს და ამ ბურთის დევნას ეგებ პოდიუმზე გაგევლოო.

— მოედანზე ყველაზე მეტად რისი კეთება გეზარება?

— არ ვიცი, ალბათ დაცვაში თამაშია ყველაზე მოსაბეზრებელი. ეს ალბათ იმიტომ, რომ მე სწორედ აქ მოვიკოჭლებ.

— რაშიც არ მოიკოჭლებ, ნერვების სიმტკიცეა. კრიტიკულ მომენტში თითქმის არასდროს აცუდებ საჯარიმოს, თუნდაც სამქულიან სროლებს. როგორ ახერხებ?

— ვარჯიში მეხმარება. ვიცი, რომ ჩემი საქმე სროლაა და ძირითადად სულ სროლის დახვეწაში ვარ. ფსიქოლოგიური მომენტიც ბევრს ნიშნავს — გათავისებული მაქვს, რომ აცილების შემთხვევაში დამნაშავედ არ ჩავითვლები და ეს ძალიან მეხმარება.

— ვინაა ყველაზე ძლიერი ქართველი კალათბურთელი?

— ვატო ნაცვლიშვილი...

— რომელმაც თავის დროზე „ბასკოს" საჩემპიონო ბადე ჩამოჭრა კალათიდან. იფიქრებდი, რომ შენც მოგიწევდა ამის გაკეთება?

— ვიფიქრებდი კი არა, სულ მაგის ფიქრში ვიყავი და აკი მოვახერხე კიდეც...

— ბადის ჩამოჭრა კაპიტნის საქმეა. ცოტა მოულოდნელი ხომ არ იყო შენთვის „ბასკოს" კაპიტნობა?

— ეს გუნდის პრეზიდენტმა და მწვრთნელმა გადაწყვიტეს. ალბათ იმიტომ, რომ „ბასკოს" „ვეტერანი" ვარ, თანაც ბათუმელი.

— და სადაა ახლა ის ბადე, ვერის ბაღიდან რომ წაიღე?

— ბათუმში მაქვს, სახლში, საიმედო ადგილას შენახული. ის ბადე ჩემთვის ძალიან ძვირფასი ნივთია და ცხოვრების ბოლომდე შევინახავ.

ირაკლი პერტია

მიეცით შანსი ჩემპიონს

ვილნევს უილიამსში ეპატიჟებიან

ფრენკ უილიამსის საჯინიბოს სერიოზული პრობლემები აქვს — მიმდინარე ჩემპიონატის დაწყებამდე გადაწყდა, რომ 2005 წლიდან კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია „მაკლარენით" ირბოლებს და „უილიამსში" მის შემცვლელს ეძებენ. შეიძლება, გუნდიდან რალფ შუმახერიც წავიდეს და ცხადია, ახალი პილოტის შეგულება გადაუდებელი საქმეა.

კვლავ გაისმა „უილიამსში" კანადელი ჟაკ ვილნევის დაბრუნებაზე საუბრები. ხმები დაირხა, ფრენკ უილიამსი ფორმულა ერთის კიდევ ერთ პენსიონერ ჩემპიონს ფინელ მიკა ჰაკინენაც ეპატიჟებაო, თუმც მიკამ ცალსახად განაცხადა, რომ ტრასაზე დაბრუნებას არ აპირებს.

„როდესაც სპორტიდან მიდიხარ, პირად ცხოვრებას იწყებ და ყოველდღე უყურებ, როგორ იზრდებიან შენი შვილები, ძნელია, ამ ყველაფერს ხაზი გადაუსვა, კვლავ ბოლიდში ჩაჯდე და გაუთავებელი შეჯიბრებისა თუ შეხვედრების სამყაროში დაბრუნდე — ამბობს ჰაკინენი. იგი ახლა 35 წლისაა და როდესაც თავი დაანება სპორტს, როგორც თავად ამბობს, ეს გადაწყვეტილება სრულად გააზრებულად მიიღო — მინდოდა, მეტი დრო დამეთმო ოჯახისათვის, თანაც ვფიქრობ, რომ საკუთარი ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება აღარ ღირს."

ვილნევის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. იგი იძულებული იყო, წასულიყო. გუნდ ბარ-ის ხელმძღვანელებმა მსოფლიოს ჩემპიონს „ვილაც" იაპონელი ტაკუმო სატო ანაცვალეს და ჟაკიც უმუშევარი დარჩა. მას არც ცოლშვილი ჰყავს და დაბრუნება ნაკლებად გაუჭირდება, მით უმეტეს, რომ ფორმულა 1-ის პელოტონში მისი არყოფნა მართლაც იგრძნობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფორმულა ერთის ისტორიაში ადრეც ყოფილა შემთხვევები, როდესაც ვეტერანი ჩემპიონები ტრასაზე დაბრუნებულან. მაგალითად, ნიკი ლაუდა, ნაიჯელ მენსელი და ალენ პროსტი. ლაუდამ და პროსტმა დაბრუნების შემდეგაც მოახერხეს ტიტულის მოპოვება.

ვილნევთან დაკავშირებით თავის აზრს გამოთქვამს ნიკი ლაუდა — „არ ვიცი, რას იზამს ჟაკი, არ ვიცი, როგორ ფორმაშია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თვითონ როგორ მოეკიდება საქმეს. ფრენკ უილიამსის ადგილზე რომ ვიყო, აუცილებლად გამოვცდიდი ტესტებზე, ანუ მე იმის თქმა მინდა, რომ ჟაკ ვილნევს შანსს მივცემდი."

ლადო ფულუკიძე

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ელისტა. რუსეთი. 21 მაისი — 8 ივნისი

ფინალი პირველი მატჩი

ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) — ანტონანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 0:1

აბაშიძის გვირგვინს სლავი წაიღებს

ეკატერინა კოვალევსკაია და ანტონანეტა სტეფანოვა

ასლან აბაშიძის სახელობის ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ოქროს გვირგვინისთვის სლავებს — კოვალენსკაიასა და სტეფანოვას მოუწიათ დავა. ორივე მანდილოსანმა ნახევარფინალში ჩემპიონატის მთავარ ფავორიტებს მოუგო და ფინალსაც დამსახურებულად უწია. რუსმა რეიტინგით ჩემპიონატის პირველი ნომერი ინდოელ ჰუმპი კონერა გამოთიშა ასპარეზობას, ბულგარელმა კი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე.

სტეფანოვა პირველობაზე რეიტინგით 7 ნომრად იყო დასახელებული, კოვალევსკაია კი — 14 ნომრად. მაგრამ რადგან თამაშები რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს და თანაც მასპინძელი პირველ მატჩს თეთრი ფიგურებით თამაშობდა, გამარჯვებას მას უფრო უწინასწარმეტყველებდნენ.

მეტოქეებმა დებიუტში მეფის გამბიტი გაითამაშეს და ცენტრში მხედრებით შეუდგნენ მანევრირებას. უპირატესობას თანდათან სტეფანოვა დაეუფლა, თეთრების ტერიტორიაზე ღრმად შეიჭრა და მე-18 სვლაზე პაიკს გამორჩა. კოვალევსკაიამ ყურადღება მარჯვენა მხარეს გადაიტანა და მარცხენა თითქმის გადაავიწყდა. ბულგარელმაც ამით ისარგებლა, ლაზიერის ფლანგიდან რუსს ერთიანად შეუმუსრა ფიგურები და მარცხენა კუთხეში ჩაკეტა. რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა თეთრებმა ალყიდან თავის დასაღწევად გაცვლებს მიმართეს, მაგრამ b ხაზზე შავი პაიკი გაექცათ და 53-ე სვლაზე მეტოქეს გამარჯვება დაუთმეს.

წინ კიდევ სამი პარტიაა დარჩენილი და თუ საბოლოოდ ყაიმი დაფიქსირდა, მაშინ აბაშიძის გვირგვინის მფლობელი ტაი-ბრეიკში გაირკვევა.

ლუბა გეგეჭკორი

ნოკაუტ-სისტემა ჩემთვის არაა

მაია ჩიბურდანიძე წარსულს [illegible]



იყო დრო, ქართველი მოჭადრაკე გოგონები ქალთა საჭადრაკო სამყაროში ეპოქას ქმნიდნენ და მთელი 29 წლის განმავლობაში დედოფლის გვირგვინი არ მოუხდიათ. ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძეს მსოფლიოს ჩემპიონობის პატივი ხუთ-ხუთჯერ ხვდათ წილად და მაშინ უცხოელებში ლეგენდის მსგავსი თქმულებაც დადიოდა, საქართველოში ეს თამაში ისე პოპულარულია, რომ ხშირად შავ-თეთრ დაფას პატარძალს მზითვადაც ატანენო. სამწუხაროდ ქართველმა მანდილოსნებმა სადავეები თანდათან გაუშვეს ხელიდან და ამჟამად ყალმუხეთის მთავარქალაქ ელისტაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ჩიბურდანიძის ნახევარფინალით ვკმაყოფილდებით. ქართველმა დიდოსტატმა ნახევარფინალში ანტონანეტა სტეფანოვასთან მარცხის შემდეგ ხუთიოდე წუთში მოაწყო მცირე პრესკონფერენცია

— თუ შეიძლება გაგვიმხილეთ თქვენი საიდუმლო: როგორ პოულობთ ამდენ ძალას, ახალგაზრდებს ტოლ-სწორად რომ ეთამაშებით და როგორ ახერხებთ მარცხის შემდეგ ხასიათის შენარჩუნებას?

— უკვე მრავალი წელია დიდ ჭადრაკს ვთამაშობ და დამარცხებებიც მინახავს. ძალიან მიმძიმს როცა ახალგაზრდებს ვუყურებს, წაგების შემდეგ რომ ტირიან. ახლა თუ ასეთი სუსტი ნერვები აქვთ, მომავალში რა იქნება?

— თქვენს გამოსვლას როგორ შეაფასებდით?

— იცით ალბათ, საკმაოდ ძნელია ეთამაშო ადამიანს, რომელსაც ძალიან უნდა შენთან მოგება. არ დაგიმალავთ და, ძალიან მსიამოვნებდა, როცა მქომაგობდნენ, ქომანები კი აქ და საქართველოში ბევრი იყო. მაგრამ ჩემპიონატისთვის საფუძვლიანად ვერ მოვემზადე, ჭადრაკი ბოლოს 2003 წლის აგვისტოში ვითამაშე. იანვარში სწრაფი ჭადრაკის ტურნირში მივიღე მონაწილეობა, თუმც ეს სხვა დონე იყო. 1991 წლის შემდეგ, როცა ჩემპიონის გვირგვინი ჩინელ ქსუ ჟუნთან დავკარგე, ნოკაუტ-სისტემით თამაში მიჭირს. ასეთი ფორატის ტურნირში შეიძლება მრავალი სენსაცია დაფიქსირდეს. თქვენ თვითონ ნახეთ: როცა მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, მანამდე დიდი გზა გავიარე, რამდენიმე ტურნირში მივიღე მონაწილეობა და დაახლოებით 100-მდე მატჩი ვითამაშე. ახლა კი ნოკაუტ-სისტემაში ერთი პატარა შეცდომა ყველაფერს გიკარგავს.

— რას იტყვით იმაზე, რომ ჩემპიონატმა ბათუმიდან ელისტაში გადმოინაცვლა?

— საქართველოს მართლაც ძალიან სურდა, ჩემპიონატი ჩაეტარებინა, მაგრამ ვერ შეძლო და ალბათ ამის მიზეზიც ჰქონდა. ახლა კი იმედს ვიტოვებ რომ ყველაფერი გამოსწორდება და მომავალ ჩემპიონატს ჩვენ ვუმასპინძლებთ.

— თქვენ რა გეგმები გაქვთ მომავალში?

— პირველ რიგში დავისვენებ, შემდეგ კი ვეცდები კრასნოტურინსკის ტურნირში მივიღო მონაწილეობა. წლეულს ასევე დაგეგმილია საჭადრაკო ოლიმპიადა და იქ სათამაშოდ მოვემზადები.

— სახელმწიფო თუ გეხმარებით რამით?

— საქართველოს ხელისუფლებას ახლა ბევრი პრობლემები აქვს გადასაწყვეტი და ჭადრაკისთვის ჯერ არ სცალია. ამიტომ მე ვერავითარი პრივილეგიით ვერ ვსარგებლობ. ორ წლის წინ კი საერთოდ 40 დოლარი მქონდა ხელფასი.

— მრავალმა დიდოსტატმა საკუთარ საჭადრაკო სკოლა გახსნა. თქვენ ხომ არ გსურთ, მათ მიბაძოთ?

— ეს კითხვა ჯერ ნაადრევია. მე კიდევ მსურს ჭადრაკის თამაში. თუ სკოლას გახსნი, იქ მთელი სული და გული უნდა ჩადო. სკოლის გასახსნელად ასევე ფინანსებია საჭირო და რაც მე ჯერჯერობით არ გამაჩნია.

ძია სემს ბიჭები დაუბერდნენ

სლოვაკეთში დარაჯი დაილია



კრის ჩელიოსი

ორიოდ დღის წინ ამერიკელებმა და სლოვაკებმაც გამოაქვეყნეს მსოფლიოს თასზე გამსვლელი ნაკრებების შემადგენლობა.

ამერიკელების სია რომ მოისმინეს, ჟურნალისტებმა უმალ შექმნეს ლოზუნგი: „ნუ ენდობით მოთამაშეს, რომელსაც 30 წელი არ შესრულებია“. ეს იმიტომ, რომ ამერიკელთა ნაკრები თითქმის მთლიანად ვეტერანებისაგან დაკომპლექტდა. 23 ფორვარდისგან და მცველისგან 18 ამ ასაკს აღემატება (!). ნაკრებში 40-ს მიტანებული კრის ჩელიოსისა და ბრეტ ჰალისთვისაც კი მოიძებნა ადგილი. გუნდის თავკაცი რონ უილსონი თვლის, რომ ეს ნაკრების მთავარი პლუსია, ვინაიდან უმრავლესობა ერთმანეთთან შეთამაშებულია და მათ დიდი მოგებც უგემიათ. 12 მოთამაშე 1996 წლის მსოფლიოს თასის გამარჯვებულია. ყველაზე ახალგაზრდა მეკარეთა ხაზია და მასში გუშინდელი იუნიორი რიკ დიპეტროც კი მოხვდა.

მეკარეები: რობერტ ეში (ფილადელფია), ტაი კონკლინი (ედმონტონი), რიკ დიპიეტრო (აილენდერსი)

მცველები: კრის ჩელიოსი (დეტროიტი), მეტიუ შნაიდერი (დეტროიტი), ბრაიან ლიჩი (ტორონტო), ბრაიან რაფალსკი (ნიუ ჯერსი), ჯორდან ლეოპოლდი (კალგარი), აარონ მილერი (ლოს ანჯელესი), დერიან ჰეჩერი (დეტროიტი), კეიტ კარნი (ანაჰაიმი)

ფორვარდები: მაიკ მოდანო (დალასი), დუგ უეიტი (სენტ ლუისი), ჯერემი რენიკი (ფილადელფია), ბილ გერინი (დალასი), კეიტ ტკაჩუკი (სენტ ლუისი), ჯერემი ლანგენბრუნერი (ნიუ ჯერსი), ბრეტ ჰალი (დეტროიტი), სკოტ გომესი (ნიუ ჯერსი), კრის დრური (ბუფალო), ბრაიან სმოლინსკი (ოტავა), ტონი ამონტე (ფილადელფია), ბრაიან როლსტონი (ბოსტონი), კრეიგ კონროი (კალგარი), ჯეფ ჰელპერნი (ვაშინგტონი), ჯეისონ ბლეიკი (აილენდერსი)

სლოვაკები იმედებს კაშკაშა ვარსკვლავებისგან დაკომპლექტებულ შეტევაზე ამყარებენ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 15 თავდამსხმელიდან 7-ს თავის კარიერაში 30 გოლზე მეტი გაუტანია სეზონში, ხოლო პეტერ ბონდრას ორი 52-შაიბიანი ჩემპიონატიც ჰქონია.

ისიც აღსანიშნავია, რომ სლოვაკებს გამოცდილი და ახალგაზრდა მოთამაშეების კარგი შერწყმა გამოუვიდათ. მთავარი პრობლემა კი მეკარეებია. სერიოზული, ნჰლ-ური გამოცდილება არც ერთს არა აქვს.

მეკარეები: იან ლაშაკი (პარდუბიცე, ჩეხეთი), რასტისლავ შტანა (ვაშინგტონი), პეტერ ბუდა (კოლორადო)

მცველები: ზდენო ხარა (ოტავა), ლუბომირ ვისნოვსკი (ლოს ანჯელესი), რადოსლავ სუხი (ფინიქსი), ივან მაიესკი (ატლანტა), ბრანისლავ მეზეი (ფლორიდა), იაროსლავ ობშუტი (ვანკუვერი), მარტინ შტრბაკი (პიტსბურგი), რიხარდ ლინტნერი (იურგორდენი, შვედეთი)

ფორვარდები: პეტერ ბონდრა (ოტავა), მარიან ჰოსა (ოტავა), პაველ დემიტრა (სენტ ლუისი), ზიგმუნდ პალფი (ლოს ანჯელესი), მარიან გაბორიკი (მინესოტა), იოზეფ შტუმპელი (ლოს ანჯელესი), მიხალ ჰანდზუში (ფილადელფია), რადოვან სომიკი (ფილადელფია), ბრანკო რადივოევიჩი (ფილადელფია), ლადისლავ ნადი (ფინიქსი), ვლადიმირ ორზაგი (ნეშვილი), მიროსლავ შატანი (ბუფალო), რიხარდ ზედნიკი (მონრეალი), ლუბომირ ბარტეჩკო (სპარტა, ჩეხეთი), იაროსლავ ჰლინკა (ზლონი, ჩეხეთი)



ბრეტ ჰალი

სოლიმპიადო რამეები

ეს ათენის წლევანდელი ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიალთა ბილეთებია. ამათი ორიმესამედი ჯერ არ გასაღებულა და თამაშების ორგანიზატორთ იმედი აქვთ, ახლა მაინც გაასაღონ. ამ ფარანში კი ოლიმპიური ცეცხლი ინახება — ოთხშაბათიდან მან უკვე მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობა დაიწყო, რათა 73 დღის შემდეგ ათენის ოლიმპიურ სტადიონზე აგიზგიზდეს.



REUTERS ათენიდან

REUTERS ბელმონტიდან

სმარტი ჯონსი

სმარტი ჯონსი ამ ცხენს ჰქვიან. იგი წლევანდელი კენტუკი დერბისა და პრიკნეს სტეიკის გამარჯვებულია და ახლა ელმონტში, ბელმონტ პარკში იმყოფება. აქ ბელმონტ სტეიკის 136-ე შეჯიბრი უნდა გაიმართოს და სმარტი ჯონსს შანსი აქვს, ამ რბოლის მოგებით უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში სამმაგი გვირგვინის მიმთვლელი პირველი ცხენი გახდეს.

ლოზანური ბანქოობა

ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრები ევროჩემპიონატისთვის შვეიცარიაში იწრთობა. ფოტოზე იმას ხედავთ, თუ როგორ ჩამომსხდარან (მარცხნიდან მარჯვნივ) უესლი სნაიდერი, ედვინ ვან დერ სარი, სანდერ ვესტერფელდი და რაფაელ ვან დერ ვაარტი მათი ლოზანური ოტელის ბარში და ბანქოს უბერავენ.

REUTERS ლოზანიდან

REUTERS ლას ვეგასიდან

ოსკარი და ფელიქსი

ვბო-ს ვერსიით საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი ოსკარ დე ლა ჰოია (მარცხნივ) ტიტულის დაცვას ხვალ „ემჯიემ გრანდ არენაში“ გერმანელ ფელიქს შტურმთან ეცდება. ეს ფოტო იქვეა გადაღებული.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge